ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 15 დეკემბერი, 2014 | 1296 (6607) | აფცბ5 №) სტსჰბ



**თამაზ თამაზაშვილი გივი თარგამაძეს: გივია, შენ უსინდისო და უნამუსო ადამიანი ხარ!“**

გვ.3

# ზურაბ აბაშიძე: ივანიშვილი შეცდა, როდესაც პრემიერობიდან წავიდა“



გვ.3

## „ღარიბაშვილი თავის ხალხს საკუთარი ნებით არ მოხსნიდა“

დღეს ოპოზიციაში იმიტომ ვართ, რომ ყოფილი პარტნიორები და დღევანდელი ოპონენტები დავარწმუნოთ ამა თუ იმ საკითხის სისწორეში, სწორ შეხედულებაში. იმედი მაქვს, ჯანსაღი აზრები და იდეები გაიმარჯვებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, ნაკლებად ვხედავ რესურსს.



## ტრისტან ნითელაშვილი: ექსპრეზიდენტი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში პროვოკაციას ამზადებს!“



## სააკაშვილი საქართველოში დასაბრუნებლად უკრაინას იყენებს და ამაში ფულს იხდის“

გვ.4

## მერაბ ტურავა: უსამართლოდ და უკანონოდ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება არ შეიძლება!“



გვ.5

## ქუთაისში ყველაზე იაფი სამშენებლო და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტი გორგია“ გაიხსნა



გვ.7

## საყდრისი ააფეთქეს

გვ.7



ISSN 1987-9385

კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# დავით თარხან-მოურავი: ასლან აბაშიძის ჩამოყვანასთან კავშირი არ გვაქვს“

## ბათუმში გამართულ აქციას რამდენიმე მიზანი ჰქონდა

მარიკა მჭედლიშვილი

**სააკაშვილის მმართველობის პოლიტიკური შეფასება და წინა ხელისუფლების დამნაშავე წარმომადგენლების დასჯა — ასეთი იყო გუშინ, 14 დეკემბერს, ბათუმში ჩატარებული მიტინგის მთავარი მოთხოვნები. თუმცა, ძველ მოთხოვნებს ახალიც დაემატა — კულტურის მინისტრის გადაყენება.**

ეს ბოლო მოთხოვნა იმან გამოიწვია, რომ შაბათს ბატონი გიორგაძის გადაწყვეტილების საფუძველზე ააფეთქეს საყდრისის უნიკალური და უძველესი საბადო.

აქციის მთავარი ორგანიზატორები აჭარის საზოგადოება და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი იყვნენ.

ალიანსი აცხადებს, რომ აჭარა საქართველოს გულია და სწორედ აქედან დაიწყებს საპროტესტო აქციების ციკლს. შემდგომი აქტივობები გაზაფხულზეა დაგეგმილი.

აქცია მარტო სააკაშვილის რეჟიმის შეფასების უკვე გაცვეთილ და მრავალტანჯულ თემას კი არა, სხვადასხვა მიმართულებას მოიცავდა. ამაზე პარტიის ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა მიტინგამდე ისაუბრა:

— იქნება გამოსვლები ქართულ მიწებთან, ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მომდევნო პერიოდში დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებასაც, რათა აჭარელი გლეხი დაეპატრონოს საკუთარ მიწას, ასევე, მოხდეს სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკური შეფასება.




თარხან-მოურავმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმაზე, თითქოს მიტინგზე შეგროვდებოდა ხელმოწერები აჭარის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის, საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით:

— არც მე, არც ჩვენს პარტიას, არასოდეს არავითარი კავშირი არ გვქონია ასლან აბაშიძესთან. არაფერი ცუდის თქმა არ მინდა ასლან აბაშიძეზე, მაგრამ ჩვენ მასთან კავშირი არ გვაქვს. არც მას ჰქონია ჩვენთან კავშირი. ასეთი ინიციატივაც არ ყოფილა. როგორც ვიცი, შექმნილია ორგანიზაცია, რომელსაც სურს, ჩამოვიდეს ასლან აბაშიძე. ამისათვის ხელმოწერებსაც აგროვებენ. ჩვენ ამასთან შეხება არ გვაქვს. ასლან აბაშიძეს თუ სურს, უნდა დაბრუნდეს. ამის საშუალება მას უნდა მიეცეს. აქციასთან ამას კავშირი არა აქვს.

დავით თარხან-მოურავის სიტყვებით, ხალხმრავალ მიტინგს იმ თვალსაზრისითაც აქვს მნიშვნელობა, რომ სეპარატისტულმა ჯგუფებმა ამა თუ იმ რეგიონში ხალხის ძალა დაინახონ და თავიანთ დესტრუქციულ გეგმებზე უარი თქვან:

— პატარა სეპარატისტული ჯგუფები სხვადასხვა რეგიონში, მაგალითად, ჯავახეთში, ფიქრობენ, რომ შეიარაღდებიან და სეპარატიზმს წამოიწყებენ. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ამ ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ამას არ დაუშვებს ქართველი საზოგადოება, რომელიც მონოლითად იქნება შეკრული. არ ვამბობ, რომ ამაში მონაწილეობს სომხეთის ხელისუფლება. პირიქით, სომხეთის ხელისუფლებას ეს არ აწყობს. ცალკეულ ჯგუფებს არასწორი აზრები აქვთ. გამოყოფაზე, დამოუკიდებლობაზე, იარაღით ხელში მიწების დაცვაზე, ათას სისულელეზე მიდის ლაპარაკი. არის ეჭვი, რომ ამას ცეცხლს უნთებენ რუსები.

თარხან-მოურავის აზრით, საქართველოსათვის სერიოზული საფრთხის შემცველია ნატოს საწვრთნელ ცენტრში სირიელი მებრძოლების შესაძლო მომზადება:

— ობამას ადმინისტრაციამ სირიაში დააფინანსა ჯგუფი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ტერორისტული აღმოჩნდა. მათ შექმნეს ტერორისტული ისლამური სახელმწიფო — ხალიფატი. ეს ხალხი აპირებს მერვე საუკუნის ფარგლებში არსებული იმპერიის აღდგენას. საქართველოს ამასთან კავშირი არა აქვს. ჩვენთან არავითარი მეამბოხეები არ უნდა გაიწვრთნან. ობამას ადმინისტრაცია ამბობს, სახმელეთო ოპერაციაში არ მინდა მონაწილეობის მიღებაო. ის აცხადებს, რომ ამ ოპერაციაში მომიჯნავე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. ჩვენ რა შუაში ვართ ამასთან?

მისი შეფასებით, განცხადებებს საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრის განთავსებისა და მასში სირიელი მეამბოხეების მომზადების თაობაზე რუსეთის რეაქცია მოჰყვა:

— რა მოჰყვა ამ განცხადებას? რუსეთმა დაიწყო ისეთი მოძრაობები სოხუმსა და ცხინვალში, რომ, ფაქტობრივად, მათი მიერთება იწყება.

სპა-ს თავმჯდომარე მომიტინგეების სახელით ხელისუფლებასაც უთვლის გზავნილებს:

— ხელისუფლებამ უფრო აქტიური და ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას იმისათვის, რომ ხალხი იყოს კმაყოფილი. სახელმწიფომ უნდა გაიგოს, რომ ჯობია, 500 სახლი ააშენოს და აჩუქოს უსახლკარო მოქალაქეებს, ვიდრე დახარჯოს ამ 500 სახლის ღირებულება სრულიად გაუგებარი მიმართულებით. გამწვანება კარგია, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში უსახლკაროებისათვის თავშესაფრის მიცემა ჯობია. ჰესები კარგია, მაგრამ საქართველოს მოქალაქე არ უნდა დაიჩაგროს, როცა თურქეთი ჰესს აშენებს. მათ, მინიმუმ, კომპენსაცია მაინც უნდა აიღონ.

მისი მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს აჭარაში მცხოვრები მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისათვის განათლების სპეციალური პროგრამა. მათ ან საქართველოში, ან ევროპაში უნდა ისწავლონ.

---

## თეა წულუკიანი: კოტე კუბლაშვილი მომავალი თაობების წინაშე პასუხს აგებს!“



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის ფსევდო-სითამამე თებერვლის ბოლოს დამთავრდება, როცა მას თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოეწურება. წულუკიანმა ეს განცხადება, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გააკეთა.

„ეხლა არის კუბლაშვილი მამაცი კაცი, თორემ ადეიშვილი დროს მისი ამოღებული ხმა, სასამართლოში პრობლემებიაო, არ მახსოვს. ეხლა გახდა ყველა მამაცი, მაგრამ ამ ფსევდო-სიმამაცეს თებერვლის ბოლოს წერტილი დაესმევა. თუმცა მანამდე დროა და მას შეუძლია, რომ რეფორმის გზას დაადგეს და გამოსწორდეს და თუ ამას არ იზამს, მაშინ ის, რა თქმა უნდა, მომავალი თაობების წინაშე პასუხს აგებს“, — აცხადებს წულუკიანი.

ამასთან, მინისტრი იმედოვნებს, რომ უზენაესი სასამართლოს მომავალი თავმჯდომარე რეფორმატორი იქნება.

„ჩვენს მომავალ ხელმძღვანელზე, მე პირადად, ძალიან დიდი იმედს ვამყარებ. იმედი მაქვს, რომ ის რეფორმატორი იქნება. ყველა ერთსულოვანი ვიქნებით იმაში, რომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კანდიდატურაა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვიჭირდება საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბდეს. თუმცა მე ამ წუთში წარმოდგენაც არ მაქვს, ვინ იქნება რეფორმატორი“, - აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ნიუსპრესი

---

*სამართალი*

## მართვის მოწმობის მსურველები დღეიდან თეორიულ გამოცდას ახალი ბილეთებით ჩააბარებენ

მომსახურების სააგენტოში მართვის მოწმობის მიღების მსურველები თეორიულ გამოცდას მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან ახალი, 3დ ბილეთებით ჩააბარებენ.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ახალ ბილეთებში დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალური მხარე. გამოყენებულია სიტუაციის აღმწერი ვიდეორგოლები, რომელთა საშუალებითაც მართვის მოწმობის მსურველს სიტუაციის უკეთესად აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. ბილეთებში აღქმის გასაიოლებლად კი გამოყენებულია საქართველოს ავტომაგისტრალების, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ქუჩების ფოტო-ვიდეომასალა. ამასთან, ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან ნახვა. თეორიული გამოცდის ახალი ტესტების ელექტრონულ ვერსიაში საგამოცდო ტესტის სწორი და არასწორი პასუხების ნუმერაცია შეიცვლება, რაც საგამოცდო ბილეთების მექანიკურად დამახსოვრებას გამორიცხავს.

ახალი ბილეთებით გამოცდის ჩაბარება ქართულ, ოსურ, აფხაზურ, ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, თურქულ და სომხურ ენებზეა შესაძლებელი.

დაინტერესებულ პირებს განახლებული ბილეთების ნახვა შსს-ს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საგენცყ.გე-ზე შეუძლიათ.

„საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება კანონმდებლობა ეტაპობრივად დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას სხვადასხვა სფეროში. მართვის მოწმობის გაცემისა და გამოცდების ჩაბარების წესში ცვლილებები ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივის მიხედვით განხორციელდა. საგზაო მოძრაობის შესახებ უსაფრთხოების კანონი, რომლის მიხედვითაც შექმნილი იყო ძველი საგამოცდო ბილეთები, 2013 წლის დეკემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა. იმავე დღეს ამოქმედდა ახალი კანონი, რის მიხედვითაც ახალი ბილეთები შეიქმნა“ — აცხადებენ უწყებაში.

ნიუსპრესი

---

## ემზარ კვიციანის ადვოკატები ზუგდიდის სასამართლოს განაჩენს დღეს გაასაჩივრებენ

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის ადვოკატების განცხადებით, ისინი ზუგდიდის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ორშაბათს, სააპელაციო წესით გაასაჩივრებენ.

დაცვის მხარე აცხადებს, რომ მსჯავრდებული 20 დეკემბრის შემდეგ საპყრობილეში უვადო შიმშილობას დაიწყებს.

პარალელურად, კვიციანის თანამოაზრეები, საპროტესტო აქციებს ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის სახლთან გამართავენ.

„ბატონ ემზარს საფუძვლიანი ვარაუდი აქვს, რომ პროკურორები პოლიტიკურად ანგაჟირებულები არიან. ის მოითხოვს რომ ამ პროკურორების აცილება მოხდეს.

ბიძინა ივანიშვილს იმდენი გავლენა აქვს პოლიტიკოსებზე, რომ მას შეუძლია მარტივად მიუთითოს მათ, რომ ამ საქმეში არ ჩაერიონ. სამწუხაროდ, კვიციანს ამ მთავრობაში ბევრი მტერი ჰყავს. ბიძინა ივანიშვილი ამის შესახებ ალბათ ინფორმირებული არ არის“, — განაცხადა ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ.

ემზარ კვიციანს გამამტყუნებელი განაჩენი პირველი ინსტანციის სასამართლომ ამბოხებისა და ტერორიზმის მუხლით გამოუტანა. მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

ნიუსპრესი

---

## პოლიციამ სიძის მკვლელობაში ბრალდებული დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავრი სამაართველოსა და კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მკვლელობის ბრალდებით კასპში, წარსულში ყაჩაღობისა და ქურდობისთვის სამჯერ ნასამართლევი, 1973 წელს დაბადებული მერაბ მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ კასპში, მირიან მეფის ქ. 47-ში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მერაბ მ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანით მოკლა საკუტარი დის მეუღლე, 1967 წელს დაბადებული ვაჟა ბ.

სამართალდამცველებმა მკვლელობის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

---

## ხაშურში ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტი გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთ ცენტრალური სამსახურის თანამშრომლებმა ხაშურში, ჭალის უბნის დასახლებაში სახერხ-საამქროს ტერიტორიაზე, დაუფირნიშებელი ნაძვის ჯიშის 26 კუბური მეტრი ხე-ტყე აღმოაჩინეს, რომელიც ასევე, აღრიცხული არ იყო სახერხ-საამქროს აღრიცხვის ჟურნალშიც.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, ას კოდექსის 1283 მუხლის მე-5 ნაწილით შედგა. მასალები განსახილველად შესაბამის სასამართლოში გადაიგზავნა. ასევე, სახერხი საამქროსა და უკანონო ხე-ტყის დალუქვა მოხდა.

ნიუსპრესი

## აფხაზეთში უძრავი ქონების მასობრივი პრივატიზებისთვის ემზადებიან

ოკუპირებულ აფხაზეთში, დე-ფაქტო მთავრობა უძრავი ქონების გასხვისებისთვის ემზადება. ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

საპრივატიზაციო პროცესების მოსამზადებლად რეგიონში, 65 მილიონი რუბლი დაიხარჯა. შეიქმნა უძრავი ქონების საკადასტრო ბაზაც. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, 2012 წლიდან სპეციალისტებმა რეგიონში არსებული ყველა უძრავი ობიექტის ფართომასშტაბიანი აეროფოტოგადაღება და საჰაერო ლაზერული სკანირება განახორციელეს.

„რუსტავი 2“ -ის ინფორმაციით, სოხუმის დე-ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტის შეფასებას და მათი მესაკუთრეების დადგენას.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქინების გასხვისება რეგიონში მოქმედი ე.წ. კონსტიტუციით იკრძალებოდა. დე ფაქტო ხელისუფლებაში ხაჯიმბას მოსვლის შემდეგ, მან პირველმა დაიწყო საუბარი ქონების გაყიდვასა და გასხვისებაზე.

სოჭში კრემლთან სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ე.წ. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საოკუპაციო რეჟიმმა ამ თემაზე საუბარი ღიად დაიწყო.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ზურაბ აბაშიძე: ივანიშვილი შეცდა, როდესაც პრემიეროზბიდან წავიდა“

## „ღარიბაშვილი თავის ხალხს საკუთარი ნებით არ მოხსნიდა“

ნათია ხურცილავა

„თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი, ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა დღის წესრიგში მათი ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ დადგა.

***— ბატონო ზურაბ, შსს-დან უშიშროების სამსახურის გამოყოფის შესახებ პრემიერმა ღარიბაშვილმა განცხადება გააკეთა, რამდენად რეალურია რეფორმის განხორციელება?***

— ამ რეფორმის აუცილებლობაზე ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“, მანამდე ვსაუბრობდით, სანამ კოალიცია „ქართული ოცნება“ შეიქმნებოდა. ეს გარდაუვალი პროცესია, რეფორმა აუცილებლად უნდა განხორციელდეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა კოალიცია „ქართული ოცნების“ საპროგრამო დოკუმენტშია ჩადებული. მიგვაჩნია, რომ მისი განხორციელება დაგვიანებულია. ვერ ვხედავ ამ მთავრობის პირობებში რეფორმის რეალურად განხორციელების სურვილს. მე მოსმენების შესახებ კანონი მახსენდება. სწორედ ამ კანონის მიღება არის უკან გადადგმული ნაბიჯი. ეს ერთმანეთთან როგორ მოვა თანხვედრაში, რთული სათქმელია.

***— თქვენი ამბობთ, რომ ალასანიას აქტიურობის შედეგია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა?***

**დღეს ოპოზიციაში იმიტომ ვართ, რომ ყოფილი პარტნიორები და დღევანდელი ოპონენტები დავარწმუნოთ ამა თუ იმ საკითხის სისწორეში, სწორ შეხედულებაში. იმედი მაქვს, ჯანსაღი აზრები და იდეები გაიმარჯვებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, ნაკლებად ვხედავ რესურსს.**

— დიახ, რა თქმა უნდა. ხელისუფლება ხვდება, რომ ჩვენ არ გავჩერდებოდით, რადგან ვალდებულებები, რომლებიც ამომრჩევლის, ხალხის წინაშე ერთად გვაქვს აღებული, უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ამაზე ძალიან მკვეთრ პოზიციას დავაფიქსირებთ. ჩვენი ოპოზიციაში გადასვლა სერიოზული ფაქტორი გახდა, რომ შსს-ს რეფორმა დღის წესრიგში დამდგარიყო.

***— პრემიერმა ღარიბაშვილმა ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი კომისიაში სამუშაოდ მიიწვია. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებთ?***

— რასაკვირველია. დღეს ოპოზიციაში იმიტომ ვართ, რომ ყოფილი პარტნიორები და დღევანდელი ოპონენტები დავარწმუნოთ ამა თუ იმ საკითხის სისწორეში, სწორ შეხედულებაში. იმედი მაქვს, რომ ჯანსაღი აზრები და იდეები გაიმარჯვებს. თუმცა, ამ შემთხვევაში ნაკლებად ვხედავ რესურსს.

***— რატომ?***

— კომისია რა პრინციპით შეიქმნება? როგორ შეიქმნება? ვინ იქნებიან კომისიის შემადგენლობაში? თუ კომისია შეიქმნება კომისიისთვის, მაშინ არაფერი გამოვა! თუ ამ კომისიის მუშაობა შედეგზე არ იქნება ორიენტირებული და მხოლოდ ფორმალობა იქნება, ეს ძალიან ცუდი იქნება.

***— ბატონო ზურაბ, არაერთი მოსაზრება გამოითქვა საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ ეს ცვლილებები განახორციელა არა ირაკლი ღარიბაშვილმა, არამედ ბიძინა ივანიშვილმა. „თავისუფალი დემოკრატები“, როდესაც ხელისუფლებაში იყავით, ივანიშვილისგან იღებდით მითითებებს?***

— ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. ბიძინა ივანიშვილის კოალიციიდან გასვლა არასწორი იყო. როდესაც ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა, ეს არასწორი ნაბიჯი იყო. ეს იყო არაპრაქტიკული ნაბიჯი მისი მხრიდან. ვნახეთ, როგორი სერიოზული პრობლემები შეიქმნა მართვის კუთხით. აღმოჩნდა, რომ მენეჯმენტში გამოუცდელი ადამიანები არიან. ეს ადამიანები არასწორად მართავდნენ ბევრ რაღაცას. მე დეტალები არ ვიცი და არც მაქვს ეს ინფორმაცია, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან ბევრი ადამიანი იცვლება და ძალიან ბევრი არაპროფესიონალი აღმოჩნდა. ბიძინა ივანიშვილი რომ დარჩენილიყო პრემიერის პოსტზე, ბევრად უკეთესი იქნებოდა. დღეს აღმოჩნდა, რომ ის კრიზისულ მომენტებში ერთვება, კრიზისულ მომენტებში ჩართვა ადეკვატურია, მაგრამ როდესაც არ არის კრიზისი, არ ერთვება. ეს ნორმალური არ არის, გაუგებარია. პასუხისმგებლობა ბოლომდე უნდა იყოს აღებული ან საერთოდ არ უნდა იყოს ეს პასუხისმგებლობა. თუნდაც ჩვენი კოალიციიდან გასვლა, ვგულისხმობ „თავისუფალი დემოკრატების“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ბიძინა ივანიშვილის აქტიური მონაწილეობით მოხდა.

***— ირაკლი ალასანიას პოზიცია რომ უკეთესია, ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდეს პრემიერის პოსტზე და პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ღიად აიღოს. რამდენად რეალურია ეს?***

— სიმართლე გითხრათ, ამას არ ველოდები. თქვენს ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ პროცესები ისე განვითარდეს ქვეყანაში, რომ ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება აუცილებელი გახდეს.

***— რა შემთხვევაში გახდება ივანიშვილის დაბრუნება აუცილებელი?***

— კრიზისი შეიძლება იყოს საკადრო, პოლიტიკური კუთხით. მმართველობის ის სისტემა, რომელიც შეიქმნა, არასწორია. სისტემა, რომელიც არსებობს, ფიქტიურია. მაგალითად, კოალიციის ფიქტიური ლიდერი არის ირაკლი ღარიბაშვილი, ფაქტობრივი კი — ბიძინა ივანიშვილია. აღმოჩნდა, რომ მთავარი გავლენების მქონე პირი არის არა ირაკლი ღარიბაშვილი, არამედ ბიძინა ივანიშვილი. მე არ მგონია, რომ პრემიერს ეს გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიეღო, უახლოესი თანამებრძოლები, ის ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მეტად ეყრდნობოდა, თავისი ნებით გაეთავისუფლებინა და ეთქვა, უნდა მოვიჭრა ფრთებიო.

***— საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, მანანა კობახიძემ, განაცხადა, რომ ირაკლი ალასანიას წინასაარჩევნო კამპანია აქვს დაწყებული. რას უპასუხებთ?***



**ირაკლი ალასანიას, „თავისუფალ დემოკრატებს“, ცხადია, გვაქვს ჩვენი ხედვები, დამოკიდებულება ქვეყნის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოსახლეობამდე გასაგებად მივიტანთ.**

— პირდაპირ გეტყვით, მანანა კობახიძე ჩემთვის ახლობელი ადამიანია. ჩვენ თანამებრძოლები ვართ. დღეს განსხვავებულ პოზიციებზე ვდგავართ, მაგრამ თავის დროზე ბევრმა ჩვენგანმა ძალიან სერიოზულად ვიბრძოლეთ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. ზოგმა უფრო ადრე დაიწყო ეს ბრძოლა, ზოგი უფრო გვიან შემოუერთდა ამ ბრძოლას. რაც შეეხება ირაკლი ალასანიას წინასაარჩევნო კამპანიას, მას ჯერ ვერ დავიწყებთ, რადგან ჯერ არჩევნები დანიშნული არ არის. ისე, ყველამ იცოდეს, რომ ძალიან კარგი წინასაარჩევნო კამპანია გვექნება. ირაკლი ალასანიას, „თავისუფალ დემოკრატებს“, ცხადია, გვაქვს ჩვენი ხედვები, დამოკიდებულება ქვეყნის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოსახლეობამდე გასაგებად მივიტანთ.

---

## ნინო ბურჯანაძე: 10-მილიარდიანი ბიუჯეტიდან სულ 56 მილიონი იყო საკმარისი, რომ პენსიების 10-ლარიანი ზრდა იანვრიდანვე მომხდარიყო“



პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, დღეს ქვეყანას არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკა აღარ აქვს და ის ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.

„მე შემიძლია რამდენიმე ციფრი მოგიყვანოთ, დაწყებული თბილისის ბიუჯეტიდან, გაგრძელებული საქართველოს ბიუჯეტით, როცა ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ პენსიონერებს პენსიას 10 ლარით უმატებს.

კარგად დავთვალოთ, რომ 10 მილიარდიდან სულ 56 მილიონი სჭირდებოდა იმას, რომ სექტემბრიდან კი არა, იანვრიდანვე, პენსიონერების თუნდაც 10-ლარიანი დახმარება გაზრდილიყო და ამ 56 მილიონის ნახვა იმ მილიარდ ორასი ათასში ძალიან ადვილად შეიძლებოდა, რომელიც საქონლისა და მომსახურებისათვის, ანუ ძვირადღირებული მანქანების, ძვირადღირებული მობილურების და ძვირადღირებული მივლინებების დაფინანსებისათვისაა განკუთვნილი“ — განაცხადა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

მისივე თქმით, ეს ძალიან ნათლად აჩვენებს იმას, რომ ქვეყანას რეალურად, ეკონომიკური პოლიტიკა არ აქვს.

ნინო ბურჯანაძემ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერობის დროინდელ მის ხარჯებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მაშინდელი ხარჯები დღევანდელთან ახლოსაც ვერ მივა.

„შეგიძლიათ ძალიან მარტივად ამოიღოთ ის მასალა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩემს მომსახურებას ეხებოდა. სხვათაშორის, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ისეთი მანქანით დავდიოდი, რომელიც ელემენტარულად გზაზე სამჯერ გაფუჭდა. ნამდვილად შეგიძლიათ ამოიღოთ რა მანქანით დავდიოდი. ჩემი და ჩემი დელეგაციის ხარჯი დღევანდელი მინისტრების ხარჯის მეათედიც შეიძლება არ ყოფილიყო. ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ თანხები პრინციპულად განსხვავებული იყო. სხვათა შორის, სამართლიანობის მიზნით უნდა ითქვას, რომ არა მარტო ჩემი მივლინების შედეგები, არამედ 2005-2006 წლამდე ხელისუფლებაში მყოფი სხვა ადამიანების მივლინებების შედეგებიც დღევანდელი ხელისუფლებისაგან განსხვავდება“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

---

## თამაზ თამაზაშვილი გივი თარგამაძეს: გივია, შენ უსინდისო და უნამუსო ადამიანი ხარ!“



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი თამაზ თამაზაშვილი, კორუფციულ სქემებთან დაკავშირებით, მის მიმართ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოთქმულ ბრალდებებს ეხმიანება.

თამაზაშვილი ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრის გივი თარგამაძის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, ის სამსახურებში ხალხს ნათესავური ნიშნით ნიშნავს.

ამის შესახებ თამაზაშვილმა გადაცემა ,,იმედის კვირასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომელიც ეთერში გუშინ გავიდა.

,,მინდა მივმართო გივია თარგამაძეს, რომ შენა ხარ უსინდისო ადამიანი ასეთ ტყუილებს რომ იგონებ. უსინდისო და უნამუსო ადამიანი ხარ.

მე ვნახე გაზეთში ჩამოწერილია, რომ ვითომ მე და ჩემი მძახალი ხალხს სამსახურებში ვნიშნავთ. არავის არ ვნიშნავთ, ეს ტყუილია“,— აცხადებს თამაზაშვილი.

წინა ხელისუფლების დროს, თამაზ თამაზაშვილი 2011 წლის 11 ოქტომბერს დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 აპრილის განაჩენით, ის მსჯავრდებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებაში და თავისუფლების 3 წლითა და 6 თვის ვადით აღკვეთა მიესაჯა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა.

2012 წლის 9 ოქტომბერს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, პროკურორსა და მსჯავრდებულ თამაზ თამაზაშვილს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა, თუმცა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება ბრალის აღიარების გარეშე გაფორმდა და თამაზაშვილმა 2012 წლის 10 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა.

2013 წლის 26 მაისს, თამაზ თამაზაშვილის საქმესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს 6 ყოფილი თანამშრომელი დააკავეს.

ნიუსპრესი

---

## ცხინვალის დეფაქტო საგარეო უწყება ოფიციალურ თბილისთან პირდაპირი დიალოგის მზაობას უარყოფს

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საქართველოს მთავრობა საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს და მის განცხადებას, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასთან კონტაქტების დამყარების მზაობის თაობაზე რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

აღნიშნულით, დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, დე ფაქტო ხელისუფლება და საქართველოს მთავრობა დიალოგის დასაწყებად მზად არიან.

,,დღეს საქართველოში ცხოვრების დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე ცხინვალში და მის მეზობელ რესპუბლიკებში. ჩვენი საზოგადოების მოსყიდვა სამედიცინო დახმარებით, რომელსაც ჩვენს მოქალაქეებს დასავლეთის გრანტებით და სხვადასხვა ფონდით აღმოუჩენთ ხოლმე, აბსურდულია“, — ნათქვამია დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ამასთან, განცხადებით მიხედვით, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგება ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.

,,ეს კი მიუთითებს მათ განზრახვაზე, ნებისმიერი, მათ შორის ძალისმიერი გზით სამხრეთ ოსეთი აიძულოს საქართველოს შემადგენლობაში შევიდეს“, — აცხადებს დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მისი უწყების 2-წლიანი მუშაობის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, რომ ,,ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის ნებისმიერი ფორმით და ბუნებრივია, აქ დე ფაქტო ხელისუფლებაც იგულისხმება“.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# სააკაშვილი საქართველოში დასაბრუნებლად უკრაინას იყენებს და ამაში ფულს იხდის“

## ტრისტან წითელაშვილი: „ექსპრეზიდენტი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში პროვოკაციას ამზადებს!“

შორენა მარსაგიშვილი



გამოაცხადებს თუ არა ინტერპოლი სააკაშვილზე ძებნას, რა შეთანხმება აქვს მას უკრაინასთან, რატომ გაწირეს ამერიკელებმა და რას ემსახურება მის მიერ ჯართან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.

ტრისტან წითელაშვილი:

— ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს. მას ერთადერთი მიზანი აქვს, შეიარაღებული ძალების დემორალიზება სურს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ გაკეთებული ბოლო განცხადება. ამტკიცებს, რომ ქართველი ოფიცრები მასობრივად ტოვებენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და უკრაინაში მიდიან.

***— სააკაშვილის გარდა, ასეთ განცხადებებს სხვებიც აკეთებენ.***

— ეს არის სიცრუე. კარგად ვიცი, რა ხდება უკრაინაში და კარგად ვიცი, რა ხდება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. არც ერთ მოქმედ ოფიცერს არ მიუტოვებია სამსახური და უკრაინაში არ წასულა. სააკაშვილის ამ განცხადებას სხვა მიზანი აქვს. მას სურს, შეიარაღებული ძალების დემორალიზება გამოიწვიოს, სურს, საერთაშორისო თანამეგობრობას დაანახოს, თითქოს ჯარში ისეთი ვითარებაა, რომ იქედან ოფიცრები გარბიან. ოფიცრებმა შეიარაღებული ძალები მაგის სისხლიანი მმართველობის დროს დატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯარში უამრავი პრობლემა დატოვეს, სამხედროები ქართული ჯარიდან უკრაინაში არ მიდიან. იქ მხოლოდ მამუკა მამულაშვილი და მისი ხალხია წასული.

***— ვიღაცები მაინც წასულან.***

— მამუკა მამულაშვილი არ არის მოქმედი ოფიცერი. ის თავის დროზე გახლდათ ბაჩანა ახალაიას მრჩეველი. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მამულაშვილმა და ახალაიას ხალხმა საქართველო დატოვეს. ზოგიერთ მათგანზე სისხლის სამართლის საქმეც იყო აღძრული. ისინი ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში იყვნენ მიმოფანტული. გასულ წელს უკრაინაში დატრიალებული ამბები სათავისოდ გამოიყენა სააკაშვილმა. ახლა იქ იმყოფება, სადაც საქართველოს გათავისუფლების შტაბი შეიქმნა. ამ შტაბში გაერთიანებული არიან ყოფილი ზონდერები, სოდისა და კუდის, ასევე შეიარაღებული ძალების ყოფილი ოფიცრები. ამ ადამიანებისგან შექმნილი კონტინგენტი უკრაინაში მიმდინარე პროცესებშია ჩართული.

***— რუსების წინააღმდეგ იბრძვიან?***

— ისინი აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმული არ არიან. წინა ხაზზე ნამდვილად არ იბრძვიან. უკრაინაში მათ ყოფნას სულ სხვა მიზანი აქვს.

***— რა მიზანი?***

— საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება.

***— საქართველოს წინააღმდეგ როგორ უნდა იმოქმედონ? ისინი უკრაინულ არმიაში არიან. უკრაინა კი საქართველოს ომს არ გამოუცხადებს.***

— უკრაინა ომს არ გამოგვიცხადებს. სამაგიეროდ, სააკაშვილი წავა ყველაფერზე. ის იქ თავის ხალხს მოამზადებს, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს. სააკაშვილი თავისი ფულით, უფრო სწორად, ჩვენგან მოპარული ფულით აფინანსებს ამ ხალხს. ხელფასსაც ის უხდის. ექსპრეზიდენტს უკრაინა ასაფრენ ბილიკად სჭირდება და იმიტომ ხარჯავს ამ ფულს.

***— რა ასაფრენ ბილიკზე საუბრობთ?***

— ის საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებს და ასაფრენად ბილიკი სჭირდება. ამ ბილიკად უკრაინის გამოყენებას აპირებს. ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, როგორც მას უნდა, თუმცა ხვალ ის, შესაძლოა, ძალიან დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს.

***— რა პრობლემა შეიძლება შეექმნას მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში?***

— მასზე საქართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მის მიერ ჩადენილი დანაშაული, შესაძლოა, საერთაშორისო დანაშაულს დაექვემდებაროს. ყველას მოეხსენება, რომ ინტერპოლი მის საქმეს განიხილავს. ექსპრეზიდენტის საწინააღმდეგოდ საქართველოს პროკურატურამ საკმაოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულებები წარადგინა. დიდი ალბათობით, მასზე წითელი ცირკულარით გამოცხადდება ძებნა. მას უკრაინა ვეღარ უშველის და ამ ფულს ტყუილად ხარჯავს. დასავლეთის დაპირებების მიუხედავად, უკრაინა ეკონომიკური კრიზისის წინაშეა. სააკაშვილი მათ ეკონომიკის ამოსაქაჩად მილიარდებს ჰპირდება. კიევისთვის ეს მიმზიდველი წინადადებაა, მაგრამ, როცა მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება, პოროშენკო იძულებული იქნება, ის გაწიროს.

***— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ სააკაშვილმა უკრაინაში თავშესაფარი იყიდა?***

— ამის მცდელობა აქვს. თავის დროზე ის ამერიკაში ეძებდა თავშესაფარს. იქ მას მაკეინის სახით დიდი მფარველი ჰყავდა. ის ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ექსპრეზიდენტს სამუშაო ვიზა არ მისცეს.

***— მაკეინი ამერიკაში დიდი გავლენით სარგებლობს და ვითომ ვერაფრით დაეხმარა სააკაშვილს?***

— საბედნიეროდ, ამერიკა მარტო მაკეინი არ არის. თეთრ სახლში არის ხალხი, რომლებიც ობიექტურად აფასებენ სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულს. მას ღიად უთხრეს, რომ თავზე ხელს არ გადაუსვამდნენ.

***— სად ითქვა ამის შესახებ?***

— თქმა რა საჭიროა, ამის ნათელი მაგალითია ნაპრეზიდენტალის მოქმედებები. ყველა ვხედავთ, როგორ დადის აქეთ-იქით. რამდენიმე ქვეყანა მოიარა. ყველგან თავშესაფარსა და ხელშეუხებლობის გარანტიას ითხოვდა. ამის გარანტია ვერავინ მისცა. მისთვის შედარებით უკეთესი მდგომარეობა უკრაინაშია, სადაც განუკითხაობა და ქაოსია. ის და სხვა ნაციონალები პოროშენკოს გაურიგდნენ, დაჰპირდნენ, რომ უკრაინის ეკონომიკაში ფულს ჩადებენ. 9 წლის მანძილზე მათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 16 მილიარდი მოიპარეს და ამ ფულის ჩადებას აპირებენ. უკრაინაც თანახმაა. ეს ქვეყანა დასავლეთმა გადააგდო და გამოუვალ მდგომარეობაში არიან.

***— რამდენიმე მილიარდი თუ შველით, თავადაც არ აკლიათ მილიარდერები. იგივე პოროშენკო მილიარდერია. რამდენიმე მილიარდს ფლობს დნეპროპეტროვსკის მხარის გუბერნატორიც. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის ფულზე დახარბება ცოტა დაუჯერებლად ჟღერს.***

— რატომ არის დაუჯერებელი! არ დაგვავიწყდეს, რომ დღეს უკრაინის პრეზიდენტი ოლიგარქია. ოლიგარქებს კი თავისებური ფსიქოლოგია აქვთ. მიზნის მიღწევამდე დიდი რაოდენობით ხარჯავენ ფულს, მიზნის მიღწევის შემდეგ კი გროშის დახარჯვაც არ უნდათ. ამის მაგალითად ჩვენი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრიც გამოდგება. მან სააკაშვილის უსისხლოდ გასტუმრებას დიდი ოდენობით თანხები მოახმარა. ამისთვის დიდი მადლობა მას. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მან ეს დახარჯული თანხები უკან ამოიღო. ამის შემდეგ პოლიტიკიდანაც წავიდა და აღარც თავის თანხებს ხარჯავს. იგივე ითქმის პოროშენკოზეც. ოლიგარქებს ერთნაირი ფსიქოლოგია აქვთ, თავიანთ ფულს კრუხებივით ასხედან და საერთო საქმისთვის აღარ დახარჯავენ. ან რატომ უნდა დახარჯოს პოროშენკომ, როცა ნახა სააკაშვილი, რომელიც მზადაა, თავშესაფარში მილიარდები გადაიხადოს.

***— გამოდის, რომ „წველიან“ სააკაშვილს?***

— ასე გამოდის. გადაახდევინებენ ამ თანხებს. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ეტყვიან, ბევრი კი ვეცადეთ, მაგრამ მეტს ვეღარ დაგიცავთო. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მასზე ინტერპოლი საერთაშორისო ძებნას გამოაცხადებს.

***— გამოაცხადებს ინტერპოლი ყოფილ პრეზიდენტზე ძებნას?***

— ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ სააკაშვილის მიმართ ინტერპოლი ამ ნაბიჯს გადადგამს. მას, მართალია, ბევრი მფარველი და გავლენიანი ნაცნობი ჰყავს, მაგრამ მასზე საერთაშორისო ძებნა მაინც გამოცხადდება.

***— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?***

— ის დოკუმენტები, რომლებიც პროკურატურამ მოამზადა.

***— რა დოკუმენტებზეა საუბარი?***

— იმ დანაშაულებზე, რომლებიც ნაცმოძრაობამ და მისმა ლიდერმა ჩაიდინეს. ამ საბუთებს რომ გადახედავენ, მაზე ძებნას გამოაცხადებენ. ისეთი საქმეებია, სააკაშვილმა მთელი სანაცნობო წრე ფეხზე რომ დააყენოს, ვერაფერს უშველიან. გულითაც რომ მოინდომონ, ვერაფერს გახდებიან.

***— რა მასალებზეა საუბარი? საბიუჯეტო სახსრებით 1 პალტოს და 7 პიჯაკის გამო, არა მგონია, მასზე ინტერპოლმა ძებნა გამოაცხადოს.***

— ეს პიჯაკები იმ დანაშაულთან რა მოსატანია, რომელიც მაგას აქვს ჩადენილი. თუმცა საბიუჯეტო თანხების მითვისებაც დანაშაულია. ამ პიჯაკებს არავინ გაიხსენებს, სამაგიეროდ, შეისწავლიან 2008 წლის აგვისტოს ომს. ბიუჯეტიდან მილიარდების მოპარვას არცერთი ქვეყნის ლიდერს არ პატიობენ. ასევე დიდ როლს ითამაშებს იარაღით ვაჭრობის თემაც.

***— იარაღით ვაჭრობაში მას დიდი ხანია, ადანაშაულებენ. ამ თემაზე იმ დროიდან მიდის საუბარი, რაც ის ხელისუფლების სათავეში მოვიდა.***

— ეს სერიოზული საქმეა და ამით მან დიდი ფული იშოვა. ამ საქმეში მასთან ერთად ბიძამისი თემურ ალასანიაც იყო ჩართული. ამ თემაზე მეც არაერთხელ მისაუბრია, მათ შორის, „ახალ თაობასთანაც“.

***— თქვენ ამ თემაზე მართლა ხშირად საუბრობთ. ამ ბრალდებით სხვებიც გამოდიან. რამდენად არის ეს ყველაფერი დოკუმენტურად დამტკიცებული?***

— ჩემი განცხადებები ვიღაცისთვის სენსაციურად ჟღერს, მაგრამ სინამდვილე ესაა. ყველა ჩემი განცხადება დოკუმენტებით არის გამყარებული. სამხედრო ექსპერტებთან ერთად ამ თემაზე ბევრი ვიმუშავეთ. სათანადო დოკუმენტები პროკურატურას გადავეცით.

გეტყვით კონკრეტულ მაგალითებსაც: მიხეილ სააკაშვილი და მისი ბიძა, თემურ ალასანია, იარაღს მხოლოდ სირიაში არ ყიდდნენ. 2006 წელს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და ტყვიამფრქვევების დიდ პარტიებს ყიდდნენ ქურთ მეამბოხეებზე. ისინი მოქმედებდნენ ერაყის ტერიტორიაზე ამერიკული ქვედანაყოფების წინააღმდეგ. მათ მარნეულში ჰქონდათ გასაყიდი იარაღის სამალავი. ეს საკმაოდ დიდი საცავი იყო და მის მოწყობაზე თითქმის 6 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. მარნეულიდან გადადიოდა იარაღი თურქეთში. იქ ხვდებოდა ქურთების ხელში, რომლებიც მოქმედებდნენ ერაყის ტერიტორიაზე. როდესაც იარაღის გარკვეული რაოდენობის რეალიზაცია მოხდა, კვალის დაფარვის მიზნით, ეს საცავი დაწვეს. ამის შესახებ ინფორმაცია გავიდა კიდეც, რომ მარნეულში იარაღის საწყობი დაიწვა.

***— ეს რომელ წელს მოხდა?***

— ეს ინფორმაცია 2006 წელს გახმაურდა. შესასწავლია, სად გაქრა ამერიკისგან ნაყიდი შეიარაღება. აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე, 2007 წელს, თავდაცვის სამინისტრომ ამერიკიდან შეისყიდა 40 ათასი ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „მ4“. ამ იარაღის მცირე ნაწილი, დაახლოებით 5.000 ცალი, დაურიგდა ჯარს. დანარჩენი 2008 წლის მაისში წაიღეს გორში. 2008 წლის 9 აგვისტოს, როდესაც საბრძოლო მოქმედებები უკვე მიმდინარეობდა, გორის საცავებს მიადგა რამდენიმე სატვირთო ავტომანქანა და ეს ავტომატები ჩაიტვირთა. მანქანები ტერმინალში „საჰაერო კარიბჭე“ შევიდა. ეს ის ტერმინალია, რომლის ძველი მეპატრონე დაიჭირეს, რის შემდეგაც ტერმინალი დავით კეზერაშვილმა მიისაკუთრა.

საქართველოში დატოვეს მხოლოდ 4.000 ცალი ავტომატი. დანარჩენი გაიტანეს ვენესუელის მიმართულებით. ჩვენთვის ცნობილია, ვინ ხელმძღვანელობდა ამ იარაღის ჯერ გორიდან თბილისის მიმართულებით წამოღებას და შემდეგ საქართველოდან გატანას. ომი საუკეთესო საშუალება იყო მათთვის, რომ გაყიდული იარაღი ჩამოწერილებად, ომის დანაკარგად აღრიცხულიყო. რუსებმა კონფლიქტის რეგიონიდან გაიტანეს ეს ავტომატები, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რა რაოდენობა მოხვდა მათ ხელში რეალურად. შესაბამისად, ადვილად დასადგენია, რა რაოდენობა გავიდა საჰაერო ტერმინალიდან. ასე რომ, ეს ყველაფერი დაფიქსირდა საბრძოლო დანაკარგად და მათი რაოდენობა 4.000-ის ნაცვლად 35 ათასი დაიწერა. ეს მხოლოდ ავტომატებზე მოხდა, თორემ სხვა ტიპის შეიარაღებაც გასამმაგებულად არის აღრიცხული დანაკარგში.

სააკაშვილი ასევე პასუხს აგებს საქართველოში მომხდარი გახმაურებული მკვლელობების გამო, რომლებიც იარაღით ვაჭრობას უკავშირდება.

***— რომელ მკვლელობებზე საუბრობთ?***

— ზურაბ ჟვანია, ზურაბ ირემაძე და გია კრიალაშვილი იმიტომ მოკლეს რომ მათ ბევრი რამ იცოდნენ. ამის შესახებ მე არაერთ გამოცემასთან მისაუბრია, მათ შორის „ახალ თაობასთანაც“. სათანადო მასალები გადავეცით პროკურატურასაც.

***— თქვენ მაშინ იმედოვნებდით, რომ მალე მოხდებოდა ჟვანიას მკვლელობის გამოძიება.***

— დარწმუნებული ვარ, ეს საქმე მალე გაიხსნება, ისევე, როგორც კრიალაშვილისა და ირემაძის საქმეები. კიდევ ერთხელ ვამბობ, სამივე მათგანი იარაღით ვაჭრობას შეეწირა. ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები ჩვენ საგამოძიებო უწყებას რამდენიმე თვის წინ გადავეცით. პროკურატურას იარაღით ვაჭრობაზეც მივაწოდეთ ინფორმაცია.

არის კიდევ უამრავი მასალა. უკვე დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა შეიარაღებას იმ ქვეყნებზე ყიდდნენ, რომლებსაც დაწესებული აქვთ ემბარგო. ამის შესახებ დასავლეთიც კარგად არის ინფორმირებული. არსებობს მტკიცებულებები. ამიტომაც მჯერა, რომ ინტერპოლი მასზე საერთაშორისო ძებნას გამოაცხადებს. ამერიკამ მას თავშესაფარზე უარი უთხრა. უკრაინაც ასე მოიქცევა.

## ანგელა მერკელი: საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირთან დაახლოება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ არის“



გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, ევროკავშირს რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება სურს. მერკელის განცხადებითვე, უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირთან დაახლოება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ არის.

„ჩვენ ქვეყანას რუსეთთან კარგი, პარტნიორული ურთიერთობის დამყარება სურს“,— განაცხადა ანგელა მერკელმა.

გერმანიის კანცლერმა ამის შესახებ საკუთარ ყოველთვიურ ვიდეომიმართვაში აღნიშნა, რომელიც გერმანიის მთავრობის ოფიციალურ გვერდზეც გამოქვეყნდა.

ნიუსპრესი

## ეკა ზღულაძემ უკრაინის მოქალაქეობა მიიღო



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ, ვანო მერაბიშვილის ყოფილ მოადგილეს ეკატერინე ზღულაძეს უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭა.

პოროშენკოს, ზღულაძისთვის მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობით, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაკოვმა მიმართა.

როგორც ავაკოვმა სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინ განაცხადა, ზღულაძემ უკრაინის მოქალაქეობის მიღებისა და საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ განცხადება თავად დაწერა.

ეკატერინე ზღულაძე უკრაინაში, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნება.

ნიუსპრესი

## პრემიერმა საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გამართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ, საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე საუბარი ასევე, რეგიონში არსებულ ვითარებას შეეხო.

შეხვედრას, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად, პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი დავით სუჯაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი მაია ცქიტიშვილი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი დაესწრნენ.

ნიუსპრესი

# მერაბ ტურავა: უსამართლოდ და უკანონოდ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება არ შეიძლება!“

ერთი წელია, საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის კვოტით ასარჩევი მოსამართლის ადგილი ვაკანტურია. ამჟამად პარლამენტის კომიტეტებში ამ თანამდებობაზე უზენაესი სასამართლოს ყოფილი ცნობილი მოსამართლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მერაბ ტურავას კანდიდატურა განიხილება.

მერაბ ტურავას ევროპული განათლება აქვს მიღებული. სწავლობდა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტისა და ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებზე. 1997 წელს ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში დისერტაცია წარმატებით დაიცვა და მიიღო დოქტორის ხარისხი. ასევე სისხლის სამართლის ინსტიტუტში იყო მეცნიერ-თანამშრომელი-მკვლევარი.

მერაბ ტურავა: — ეს იყო პირველი დისერტაცია, რომელიც უცხოეთში დაცულ იქნა იურისპრუდენციაში მთელი პოსტსაბჭოთა სივრციდან. 1989 წელს ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტი სასწავლებლად გამაგზავნეს იენის უნივერსიტეტში. იენის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წარჩინებული სწავლისათვის მომცეს რეკომენდაცია და სწავლა გავაგრძელე ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. ეს იყო უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნის პირველი შემთხვევა. მაშინ ფიქრობდნენ, იურისტმა უცხოეთში რა უნდა ისწავლოს, იქ ხომ სხვა კანონებიაო. მიუხედავად ამისა, ნელ-ნელა ვითარდებოდა ის პოზიცია, რომ უცხოეთიდან შეიძლებოდა, ბევრი სასარგებლო კანონი და სამართლებრივი აზროვნება საქართველოში გადმოგვეტანა.

გულიკო ბალაძე

***— ბატონო მერაბ, ე.ი. სამართლებრივი აზროვნება ძირითადად მაინც უცხოეთში ჩამოგიყალიბდათ.***

— დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეების მატარებელ იურისტად 90-იან წლებში ევროპაში ჩამოვყალიბდი. სამართლებრივი აზროვნება, იურიდიული ცოდნა, განათლება უცხოეთში, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში, გერმანიაში მივიღე. ჩემი თვალით ვხედავდი (არა მარტო უნივერსიტეტში) არა მხოლოდ იმას, თუ როგორ მიმდინარეობდა სწავლა-განათლების პროცესი, არამედ, როგორ მუშაობდნენ გერმანიაში სასამართლოები, საგამოძიებო ორგანოები, პროკურატურა, როგორ ფუნქციონირებდნენ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო ინსტიტუტები და როგორ იცავდნენ ადამიანის უფლებებს. 1998 წელს საქართველოში ჩამოვედი ევროპული სამართლებრივი მენტალიტეტით, რომ მემუშავა ისე, როგორც ამას თითქმის 10 წლის მანძილზე გერმანიაში ვხედავდი. 1999 წელს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ გამამწესეს. რადგან მქონდა მაღალი სამართლიანობის გრძნობა და დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში თითქმის 10-წლიანი ცხოვრების გამოცდილება, ჩემთვის უფრო ადვილი იყო სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება 1999 წლიდან 2006 წლამდე უზენაეს სასამართლოში მუშაობისას.

***— ალბათ, სხვისი კარნახით გადაწყვეტილებების მიღება ვერც წარმოგედგინათ.***

— ცხადია, სხვისი კარნახით არ ვიღებდი გადაწყვეტილებებს. ჩემი გადაწყვეტილება არ ასახავდა ხელისუფლების პოლიტიკურ დაკვეთას და ობიექტური, მიუკერძოებელი გახლდათ. ეს იმანაც განაპირობა, რომ ვიცხოვრე ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები მოქმედებდა.

***— ბატონო მერაბ, ეს ყველაფერი არ დაგიფასდათ.***

— 1999 წელს, სასამართლო რეფორმის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა ამირჩია უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ. შემდეგ გავხდი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე. მაშინ ჩვენ უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში არაერთი გახმაურებული საქმე განვიხილეთ და მივიღეთ ცნობილი გადაწყვეტილებები. დღევანდელი ოპოზიცია (ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას) მაშინაც ოპოზიციაში იყო და დიდ აღფრთოვანებას გამოხატავდა ჩვენ მიერ მიღებული ბევრი გადაწყვეტილების გამო. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2005 წლის ბოლომდე, მე, ნინო გვენეტაძე და უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლე ვაგრძელებდით მუშაობას, მაგრამ 2005 წელს ჩვენ წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

***— თქვენში რატომ დაინახეს მოწინააღმდეგე? თვით ის საქმეები ხომ არ გახდა თქვენი დევნის საფუძველი, რომლებზეც მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები მიიღეთ?***

— რა თქმა უნდა. 2005 წლის ზაფხულში რამდენიმე დასაბუთებული და გამამართლებელი გადაწყვეტილება მივიღეთ. ხელისუფლებას სურდა, რიგი საქმეები გამამტყუნებელი განაჩენით დასრულებულიყო. რადგან არ შევასრულეთ მათი შეკვეთა, ჩვენ წინააღმდეგ, სწორედ კონკრეტული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, დისციპლინური დევნა დაიწყო. ამიტომ უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლე, რომლებმაც წინააღმდეგობა გავუწიეთ, გაგვათავისუფლეს. როდესაც ჩვენი დევნა გახმაურდა, ხელისუფლებას უნდოდა, უკან დაეხია და მასმედიაში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებში ამ საქმესთან დაკავშირებით ამტყდარი ხმაური ჩაეცხროთ, მაგრამ ფიქრობდნენ, თუ ჩვენთან დაკავშირებით უკან დაიხევდნენ, ეს ხელისუფლების მთავარ სისუსტედ მიიჩნეოდა. ამიტომ გადაწყვიტეს, უკან არ დაეხიათ. შემდეგ ჩვენ საჩივარი სტრასბურის სასამართლოშიც შევიტანეთ, რომელიც დღემდე არ არის განხილული. საქმის განხილვის დაჩქარება დიდად არის დამოკიდებული ქართველ მოსამართლეზე, რომელიც წარმოდგენილია სტრასბურის სასამართლოში. რატომღაც მან არ მიიჩნია ჩვენი საქმე პრიორიტეტულად, რომ დროზე განეხილათ.

***— საკაშვილმა შექმნა და დაგვიტოვა ისეთი სასამართლო, რომლის თავმჯდომარის მიმართ ნდობა ძალიან დაბალია. როგორ ხასიათზე დადექით, როცა ასეთმა ადამიანებმა ბრძოლა გამოგიცხადეს?***

— არ გვეგონა, ეს ადამიანები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ასეთი უსამართლონი თუ იქნებოდნენ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათ გაატარეს ისეთი პოლიტიკა, რომელმაც სასამართლო ხელისუფლების სრული დისკრედიტაცია და პოლიტიკური ხელისუფლებისადმი მოსამართლეთა სრული მორჩილება გამოიწვია. ჩვენ, ვინც არ დავემორჩილეთ პოლიტიკურ ხელისუფლებას, გავაგრძელეთ ბრძოლა. სხვადასხვა ქვეყანაში ჩასული მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტი და სხვა პოლიტიკოსები ისმენდნენ კრიტიკას მეგობარი სახელმწიფოების ხელმძღვანელობისაგან. ამან განაპირობა ის, რომ ხელისუფლებამ ჩვენ წინააღმდეგ ვერ განახორციელა სისხლისსამართლებრივი დევნა.

***— ეს იგეგმებოდა?***

— რამდენადაც ვიცი, მაშინ ხელისუფლება ჩვენს ყველა გადაწყვეტილებას სიტყვასიტყვით კითხულობდა, ადვოკატებს, პროკურორებს ეკითხებოდა, ჩვენს ოჯახებს, ახლობლებს იკვლევდა, ხომ არ ვიყავით კორუფციულ და ბიზნესსაქმიანობაში ჩართული. წელიწადნახევრიანი კვლევა-ძიების შემდეგ მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერაფერი აღმოაჩინა ჩვენს წარსულ ცხოვრებასა და ახლობლებში ისეთი, რაც სისხლის სამართლებრივი დევნის საშუალებას მისცემდა. გაწეული წინააღმდეგობის გამო ისინი მზად იყვნენ, ნებისმიერი სახის რეპრესიული ღონისძიება გაეტარებინათ. შედეგად მე და ნინო გვენეტაძემ თსუ-ში პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მივიღეთ და აკადემიური თანამდებობა ვერ დავიკავეთ.

***— ხელისუფლება კუბლაშვილს უკავშირდებოდა და უკვეთდა, ის კი თქვენ მიგითითებდათ, როგორი გადაწყვეტილება უნდა მიგეღოთ?***

— ასე იყო. სანამ მე, ნინო გვენეტაძე და კიდევ რამდენიმე მოსამართლე ვმუშაობდით, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების დროს, კუბლაშვილი კონკრეტულ მითითებებს იძლეოდა. ჩვენი წამოსვლის შემდეგ მოსამართლეებს ხელისუფლებისა და პროკურატურის მხრიდან თქმაც კი არ სჭირდებოდათ, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. ყველა გადაწყვეტილება ისე მიიღებოდა, როგორც პროცესზე გამომსვლელი პროკურორი მოითხოვდა. მოსამართლის დასაწერ გადაწყვეტილებასაც კი პროკურორები წერდნენ. მოსამართლე მხოლოდ გადაიწერდა და ხელს მოაწერდა. ჩვენი გათავისუფლებით სხვა მოსამართლეებს შიში ჩაუნერგეს, თქვენ ვინ ხართ, აგერ გვენეტაძე და ტურავა გავათავისუფლეთ უაპელაციოდო. აშინებდნენ, თუ პროკურორის ნება-სურვილს არ დაემორჩილებოდნენ, მაშინ სასამართლო სისტემიდან გააძევებდნენ. ამიტომ მონაწილე პროკურორის ნება იყო მათთვის გადამწყვეტი და აბსოლუტურად უკეთებდნენ იგნორირებას ბრალდებულის უფლებებს, ადვოკატების დასაბუთებულ საჩივრებს.

***— ახლა როგორ ისმენთ ნაციონალების განცხადებებს, რომ მათი მაღალჩინოსნების მიმართ ხორციელდება პოლიტიკური დევნა, არ არის სამართლიანი სასამართლო? მათი ახლანდელი განცხადებების გჯერათ?***

— როდესაც მათ განცხადებებს ვისმენ, მახსენდება ის მდგომარეობა, რომელიც 2004-5-6 წლებში სასამართლო ხელისუფლებაში იყო. ისინი თავის დროზე ხმას არ იღებდნენ უსამართლობისა და უკანონობის წინააღმდეგ, მთლიანად ადეიშვილის ნებაზე იყვნენ დამოკიდებულები, ან მათ უსიტყვო მხარდამჭერებს წარმოადგენდნენ, ვინც რეპრესიულ სისტემას ქმნიდა. ბევრი დღევანდელი ოპოზიციონერი მაშინ არსებულ მდგომარეობას სახელმწიფოს გაძლიერებასა და მშენებლობას ეძახოდა. ამ ლოგიკით, დღესაც შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს გაძლიერება დღესაც არის საჭირო და უნდა გაძლიერდეს, მაგრამ უსამართლოდ და უკანონოდ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება არ შეიძლება.

***— ახლახან გამოქვეყნდა ეუთოს დასკვნა, რომელიც სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობასაც ეხება. ამასთან დაკავშირებით კუბლაშვილის კომენტარი მოვისმინე. რაღაც ვერ შევატყვე, ის პასუხისმგებლობას გრძნობდეს იმის გამო, რაც წლების განმავლობაში სასამართლოებში დაატრიალეს. ქვეყანაში არიან აღიარებული პოლიტპატიმრები, უსამართლოდ გასამართლებულები. რატომ ვერ გრძნობენ კუბლაშვილი და სხვები პასუხისმგებლობას იმის გამო, რაც მათი გამოისობით დაემართა საზოგადოებას?***

— ბატონი კუბლაშვილი ცდილობს, სასამართლოში არსებული მძიმე მდგომარეობა იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს გადააბრალოს. თეა წულუკიანი არის პოლიტიკოსი, რომელიც გამოთქვამს თავის კრიტიკულ შეხედულებას. მთელმა საზოგადოებამ და კუბლაშვილმაც კარგად იცის, რომ თეა წულუკიანს, გარდა კრიტიკის გამოთქმისა, კონკრეტული, რეალური ბერკეტები არ აქვს სასამართლოზე ზემოქმედებისთვის. იუსტიციის მინისტრის ხელში სამართლებრივი და ფაქტობრივი ბერკეტები არ არის, რომლებითაც ცალკეული მოსამართლეების შეშინება შეიძლება.

***— კუბლაშვილმა თქვა, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე თუ არის საუბარი, პირველ რიგში, თეა წულუკიანი იგულისხმებაო.***

— კუბლაშვილს ავიწყდება ის, რომ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს, რომლებითაც არავითარი ზეგავლენის მოხდენა არც სამართლებრივად, არც, ფაქტობრივად, მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არ შეუძლია.

***— ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კუბლაშვილი იყო ამავე დროს იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ახორციელებს მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას. ის დღესაც ინარჩუნებს რამდენიმე თანამდებობას. აქედან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლება დღემდე ნაციონალების გავლენის ქვეშ არ არის?***

— არ ვიცი, რა ხდება სასამართლო ხელისუფლების შიდა სამზარეულოში, რა ფაქტებია, ვინ ვის ურეკავს, ვინ ვის ხვდება და ვინ ვისზე ახდენს ზემოქმედებას, მაგრამ ფაქტია, რომ სასამართლოებში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ მოსამართლეები გათავისუფლდნენ ყოველგვარი ზეგავლენისაგან.

***— სანამ კუბლაშვილია თავმჯდომარე, ზეგავლენისაგან გათავისუფლება წარმოსადგენია?***

— სასამართლო ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არის გამოსული იმ შოკის მდგომარეობიდან, რაც მიიღო წლების განმავლობაში. ადამიანებს სჭირდებათ დრო, რომ გათავისუფლდნენ ფსიქოლოგიური სტრესისაგან.

***— პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით პარლამენტმა დადგენილება მიიღო და ასზე მეტი ადამიანი პოლიტპატიმრად ცნო, რომელთა თაობაზეც სასამართლოებს ჰქონდათ გადაწყვეტილება მიღებული იმ პერიოდში, როცა კუბლაშვილი გახლდათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დაისვას?***

— მას უფლებამოსილების ვადა მარტში გასდის. ამიტომ იმპიჩმენტის პროცედურა დაგვიანებულია.

***— სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს?***

— ბევრ ქვეყანაში დარღვევები მას შემდეგ გამხდარა რეაგირების საგანი, როდესაც რამდენიმე წლის წასული იყვნენ თანამდებობიდან. ესა თუ ის პიროვნება თანამდებობაზე თუ აღარ არის, არ ნიშნავს იმას, რომ მისი საქმეები ისტორიას ჩაბარდა. ყოველთვის შეიძლება დადგეს ნებისმიერი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც წარსულში დარღვევა აქვს ჩადენილი. ახლა ჩემთვის ძნელია თქმა, თუ როგორ წარიმართება კუბლაშვილის ცხოვრება და საქმიანობა.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ უნდა დაინიშნოთ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ.

***— არა, მოსამართლედ. თავმჯდომარეობაზე საუბარი არ ყოფილა. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა 2016 წლამდე დაკავებულია. ერთი წელია, არის ერთი ვაკანსია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, რაც პარლამენტის კვოტაა. პარლამენტის ფრაქციას ამ პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს უფლება, ამ თანამდებობაზე დააყენოს კანდიდატურა.***

— საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობაც ძალიან საპატიოა. თქვენ როგორ აარიდებთ თავს პოლიტიკურ გავლენებს?

***— საკონსტიტუციო სასამართლო არის მნიშვნელოვანი ორგანო სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში, რომელიც ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს, ამოწმებს კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობას.***

— საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი ერთი გადაწყვეტილება მახსოვს, უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის დაშვების თაობაზე.

— ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ეს უცხოელების შეფასებაც არის. საერთოდ, მოსახლეობას უნდა ჰქონდეს იმის რწმენა, რომ რასაც საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს, უზენაესია და უნდა დავემორჩილოთ. შეიძლება, განსხვავებული აზრები არსებობდეს, მაგრამ, განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა და არაერთი კარგი გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რომლებიც სახელმწიფოში სამართლის განვითარებას უწყობს ხელს.



სხვისი კარნახით არ ვიღებდი გადაწყვეტილებებს. ჩემი გადაწყვეტილება არ ასახავდა ხელისუფლების პოლიტიკურ დაკვეთას და ობიექტური, მიუკერძოებელი გახლდათ. ეს იმანაც განაპირობა, რომ ვიცხოვრე ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები მოქმედებდა.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ორატორული სიტყვის კულტურა და ხელოვნება

**ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სტატია ნიკოლოზ ცხაკაიას იუბილესთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ის არის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ხელბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი. როგორც აღმოჩნდა, ნიკოლოზ ცხაკაია საკმაოდ გამორჩეული ორატორიც ყოფილა, მისი გამოსვლები სავსეა სიახლითა და იუმორით. ნიკოლოზ ცხაკაიას საუკეთესო პიროვნულ თვისებებს — შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, მუდმივ სწრაფვას თვითსრულყოფისაკენ, ერთგულებას, ქველმოქმედებას ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაეყარა საფუძველი. იგი იმთავითვე ეზიარა განსაკუთრებულ ცხოვრების წესს, პირველ რიგში, ბაბუის (დედის მამის), ქრისტეფორე ციცქიშვილის ზეგავლენით, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო.**

საინტერესოა მისი ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდი. როგორც მოგეხსენებათ, კრებები ან შეკრებები სტანდარტულად ტარდება, ირჩევენ თავმჯდომარეს, მომხსენებლები გამოდიან და ა.შ. თბილისის საავიაციო ქარხანაში პარტიული ხელმძღვანელობის თანამდებობაზე ყოფნისას მისი მოხსენებები სულ სხვანაირად წარიმართებოდა ხოლმე. მთელი წლის განმავლობაში ქარხნის, მისი ხალხის, მუშების, ოსტატების, საამქროს უფროსების, საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთა, სპორტის, კულტურის, მედიცინის, ხელოვნების დარგში ცხოვრება მთელი წლის განმავლობაში ისახებოდა კინოფირზე; ეს ფირი მონტაჟდებოდა და შეკრების დროს იწყებოდა მისი ჩვენება, ხოლო ნიკა ცხაკაია ზეპირად საუბრობდა, ჩანდა სიცოცხლე, შემოქმედება და იუმორი.

თუნდაც ავიღოთ გამოსვლა ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობის საღამოზე, რომელიც ბაქოში შედგა. მტკვრის ტალღებს მიჰყვება მეგობრობის წყნარი სიო, რომელიც აზერბაიჯანს და მის დედაქალაქს ანდამატივით მოეფინება და ბოლოს გამოხატულებას ჰპოვებს იმ შვიდფერა ცისარტყელაში, რომელიც ამ ხალხს ყოველთვის თავს დასტრიალებს.

სიტყვა ხიდი, როგორც უნგრულ, ასევე ქართულ ენაზე ერთი მნიშვნელობის არის. ამაზეა აგებული მისი სიტყვა ქართველებისა და უნგრელთა შეკრებაზე.

აღსანიშნავია მისი მგზნებარე გამოსვლები მაღალპარტიულ თანამდებობაზე ყოფნისას და ასევე „სამთო ქიმიის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ყოფნისას. საქართველოს მრავალ ქალაქში, აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში, ნოვოსიბირსკში, ვლადივასტოკში, მიუნხენში, ლონდონში და სხვაგან და სხვაგან. სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებზე, რომლებიც ეხებოდა მადნეულის მიკროდაფქვას, ნანოტექნოლოგიებს, მონოკრისტალებს, რომლებიც ლაზერის სხივს მართავენ, მიკროელექტრონიკის განვითარებას და ა.შ.

ახლა კი წარმოგიდგენთ მის მიერ დამუშავებულ და შექმნილ ნაწარმოებს ორატორული სიტყვის კულტურასა და ხელოვნებაზე.

## ორატორული სიტყვა

ყველა ორატორი იყოფა სამ კატეგორიად:

ერთს შეიძლება უსმინო, სხვას — არა. არიან ისეთებიც, რომლებსაც არ შეიძლება უსმინო.

ორატორული ხელოვნება — ეს არის ხელოვნება ზეპირი სიტყვის მომზადებისა და ისე წარმოთქმის, რომ ზემოქმედება მოახდინოს დამსწრეების გულზე, ნებასა და გონებაზე.

ორატორებს XIX საუკუნის ბოლოდან გამოუჩნდნენ კონკურენტები — რადიო, კინო, ტელევიზია, მაგრამ ცოცხალ ორატორულ სიტყვას გააჩნია უპირატესობა. ორატორს გააჩნია შებრუნებული კავშირები — ის არა მარტო ზემოქმედებს მსმენელზე, არამედ მსმენელიც ზემოქმედებს მასზე. ღიმილი, თავის დაქნევა — ეს არის ურთიერთობის ეფექტი.

ორატორული ხელოვნება ისტორიული მოვლენაა. ყველა ეპოქა ტრიბუნაზე თავის ორატორს აგზავნის. დემოსფენი საბერძნეთის საუკეთესო ორატორია. პეტრე I „ადამიანს ელაპარაკე ცოცხალი ენით, ხოლო დაბეჭდვით აშკარად ჩანს თითოეულის სისულელე“.

ორატორული ხელოვნება ნაციონალური მოვლენაა. თითოეულ ნაციას აქვს თავისი მოთხოვნა ორატორისადმი. მაგალითად, ინგლისელებისათვის დამახასიათებელია მშრალი იუმორი, ხოლო ფრანგებისათვის — ცოცხალი იუმორი.

არ შეიძლება, არ მოვიხსენიოთ ქართველი მგზნებარე ორატორები, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენდნენ მსმენელებზე: ილია ჭავჭავაძე, ნოე ჟორდანია, იოსებ სტალინი, შალვა ნუცუბიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, აკაკი წერეთელი და ბევრი, ბევრი სხვა.

ორატორული ხელოვნება კლასობრივი მოვლენაა. თითოეული კლასი წარმოადგენს თავის ორატორებს. კერენსკი, მილიუკოვი, სპირიდონოვი იყვნენ ბურჟუაზიული კლასის შესანიშნავი ორატორები. იგივე კერენსკი გაურბოდა მუშათა აუდიტორიას, ვინაიდან მარტო ორატორი კი არ არის, არის აუდიტორიაც. ორატორი მამაა, ხოლო აუდიტორია — ორატორული სიტყვის დედა და საჭიროა მათი შერწყმა.

**ინფორმაციის ნიშნობრივი სისტემის სამი არხი:**

1. ლინგვისტური არხი — ინფორმაციის გადაცემის (მეცნიერება ენაზე) მთავარი არხი ენის ნიშნების დახმარებით.

2. პარალინგვისტური არხი, რომლითაც ორატორი სარგებლობს ინტონაციების გადასაცემად:

**ტონი** — მაღალი, დაბალი, ნერვული, მოფერებითი, თხოვნითი, ბრძანებითი.

**ტემბრი** — გამოთქმის ხმოვანი შეფერვა. არსებობს მდიდარი და ღარიბი ტემბრი.

საჭიროა, ისწავლო შენი ტემბრის მართვა.

**პაუზა** — სიტყვის შეჩერება. არსებობს ორი ტიპის პაუზა — ლოგიკური, აზრის მიმცემი და ემოციური — სიცოცხლის შემტანი.

**ტემპი** — ნელი და ჩქარი.

3. კინეტიკური არხი.

ორატორის სიტყვის კულტურა უნდა იყოს მაღალი.

**ორატორის განათლება** — სიტყვების სწორად შერჩევა, ფრაზაში სწორად ჩასმა; ფრაზების სწორად შერჩევა, რათა არ მოხდეს გამოსვლის დახლეჩა, დარღვევა; ფრაზები უნდა გადადიოდეს ერთიდან მეორეში. ისინი არ უნდა იყოს გრძელი. მხოლოდ კვალიფიციური აუდიტორიის წინაშე შეიძლება გრძელი ფრაზებით სარგებლობა.

**პარალინგვისტური არხი** — თამაშობს დიდ როლს იმიტომ, რომ სიტყვების აღქმას სჭირდება გარკვეული დრო, ინტონაციას კი დიდი დრო არ სჭირდება. თუ ადამიანი გაბრაზებული ლაპარაკობს, მას უცებ გაუგებ. ერთხელ გლეხს შვილმა წერილი გაუგზავნა, რომელშიც ფულის გაგზავნას სთხოვდა. გლეხმა წერილი სხვას წააკითხა, რომელმაც ცუდად, უხეში ტონით წაიკითხა და გლეხმა შვილს ფული არ გაუგზავნა. მეორემ იგივე წერილი წაიკითხა ნაზად, თხოვნით და მამამ მაშინვე გაუგზავნა ფული.

ერთი და იგივე სიტყვის წარმოთქმისას ტონს აქვს დიდი მნიშვნელობა. ინგლისელი მსახიობი — „თქვენ ამბობთ სიმართლეს, როგორც ტყუილს, თქვენ კი ტყუილს, როგორც სიმართლეს“.

**კინეტიკური არხი** — პოზა, ხელების მოძრაობა.

ყოველთვის არ არის საჭირო ხელების მოძრაობა. რაც დიდია აუდიტორია, მით მეტი შესაძლებლობაა ხელების მოძრობისათვის.

ხელი მოძრაობს გულის ბრძანებით. გული ამბობს — ხელი მოძრაობს, გული ჩუმადაა — ხელი გაჩერებულია ადგილზე. მოძრაობები უნდა იყოს ბუნებრივი, არ უნდა იყოს მომაბეზრებელი და არ უნდა მეორდებოდეს.

**ორატორები მხერხავები** — ხელებით ხერხავენ;
**ორატორები მჩეხავები** — ხელებით ჩეხენ;
**ორატორები** — ხელებს შლიან.

უნდა მიაქციოთ ყურადღება ხელების მოძრაობას, მაგრამ მათი სწავლა არ ღირს.

**მიმიკა** — სახე ლაპარაკობს ენასთან ერთად. არსებობს ერთი გამონაკლისი — სასაცილო — სერიოზული სახეზე უფრო სასაცილოდ გამოიყურება. წინასწარ, ავანსად გაცინება არ შეიძლება. შემდეგ, თხრობის დასრულებისას შეიძლება მსუბუქად გაღიმება.

**პოზა** — უნდა იყოს მდგრადი, მაგრამ არა მომაბეზრებელი. შეიძლება იმოძრაო, მაგრამ არ უნდა ირბინო. კათედრასთან არ უნდა იდგე მიჯაჭვული, უნდა იმოძრაო.

**ტრიბუნასთან ორატორი ხდება 5 მეთაურის მმართველობის ქვეშ:**

1. ნიჭი — ტალანტი
2. შრომა
3. მოთმინება
4. ტაქტი
5. ტემპერამენტი

1. **ნიჭი** — ის არ აქვს ყველას. 1748 წელს მიხეილ ლომონოსოვმა დაწერა სახელმძღვანელო რიტორიკის შესახებ — „გონებამახვილობა და მეხსიერება ამ საქმისათვის ისევეა საჭირო, როგორც კარგი მიწა სუფთა თესლის დასათესად“.

მეხსიერება თამაშობს დიდ როლს.

**გონებამახვილობა** — ტვინის გამომგონებლობაა, რომელიც გამოიხატება სიტყვებში, სახეებსა და მოქმედებებში — რაც პოულობს მსგავსებას სხვადასხვა ნივთებში და განსხვავებას — მსგავს ნივთებში. უყვართ ზომიერად იუმორისტული სიტყვა (გამოსვლა). სიტყვა იუმორით — ეს არის ჟანგბადი, მის გარეშე მშრალია. (იუმორი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სინესტეს).

**ხმის ხარისხი** — კარგი ხმა კარგია.

სწრაფი აზროვნებისა და საკუთარი აზრების სწრაფი ფორმულირების უნარი — სწრაფი რეაგირება რეპლიკაზე. მიხვედრილობა.

2. **შრომა** — საჭიროა სიტყვის მომზადებისას.

ერთხელ ლუნაჩარსკი მიიყვანეს ხელოვნების მუშაკთა შეკრების მაგივრად კოოპერატორების ყრილობაზე. მისცეს სიტყვა. მან მობილიზაცია გაუკეთა ყველაფერს, რაც ახსოვდა კოოპერაციაზე.

**ყველაზე მთავარი შრომა** — ეს არის გამოსვლა. სიტყვა საკუთარ თავში გარდაქმნა სიტყვად სხვებისათვის — ეს არის ორატორის შრომა.

არსებობს 4 ტიპის ორატორი.

1. **ორატორი** — მკითხველი. აუცილებლად კითხულობს ტექსტს:

ა) საანგარიშო მოხსენებით გამოსვლისას; ბ) სამეცნიერო მოხსენებით გამოსვლისას; გ) საპასუხისმგებლო პოლიტიკური ან დიპლომატიური სიტყვით გამოსვლისას.

ლექტორმა და პროპაგანდისტმა არ უნდა წაიკითხოს, რადგან რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ის კითხულობს სხვის სიტყვებს.

ტექსტი წარმოადგენს შუამავალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქ არ იმყოფება ორატორი.

2. **ორატორ-დეკლამატორი** — იზეპირებს ტექსტს.

3. **ორატორ-ჩამხედველი** — მასალის სწორად და წყნარად გადმოცემის დროს

ხანდახან იხედება კონსპექტში. ზოგიერთი პირდაპირ კითხულობს. უკეთესია ცოტა ჩაიხედო და მეტი ილაპარაკო.

4. **ორატორ-ლექტორ-არქიტექტორი** — წინასწარ ადგენს გეგმას.

5. **მოთმინება** — ორატორი ყოველთვის ღელავს.

არსებობს ცუდი მღელვარება — საკუთარი მოუმზადებლობის შეგრძნების შედეგი. რაც მეტად ხარ მომზადებული, ნაკლებს ნერვილობ.

არსებობს შემოქმედებითი მღელვარება — ორატორული ციებ-ცხელება.

საჭიროა საგულდაგულო მომზადება. უნდა გახსოვდეს როგორ აუდიტორიაში შეგიძლია გამოსვლა და როგორში — არა. უნდა განავითარო შენს თავში მობილიზაცია. უნდა იფიქრო იმაზე, რაზეც უნდა ილაპარაკო და სხვაზეც, რაც აღნიშნულ თემას ეხება. საჭიროა გათავისუფლდე სხვა ფიქრებისგან. მღელვარების დროს — მაშინვე გაიხედე სხვა მხარეს, კუთხეში, დაწყნარდები თუ არა — დარბაზში.

6. **ტაქტი** მსმენელის თვალებია. ეს არის ლექციის წარმართვის საჭე. მათ უნდა

იმოქმედონ თქვენს სიტყვაზე. მათ უნდა მოგმატონ ძალა.

უტაქტობაა ციტატების გამოყენების სიჭარბე.

7. **ტემპერამენტი** — ეს არის უნარი, მიიღო, იგრძნო და განიცადო რაღაც.

უნდა გახსოვდეს, რომ ორატორული სიტყვა — ეს არის გრძნობის, გონების და ნების სამმაგი კავშირი. საჭიროა ააღელვო, მოახდინო ზემოქმედება. ეს ყველაფერი უნდა გაწონასწორდეს ორატორის ტემპერამენტში. უნდა შექმნა შინაგანი მღელვარება.

ერთი იწვის როგორც სანთელი — უარყოფითია.

მეორე დუღს, როგორც ჩაიდანი — ჩანს შინაგანი დუღილის ორთქლი.

ორატორული ხელოვნების მნიშვნელოვანი კანონია მომზადება: რისთვის და ვისკენ იქნება მიმართული სიტყვა. ორატორიულ ხელოვნებას აქვს მისამართი. სად ვლაპარაკობთ — სიტუაცია. რა და როგორ ვთქვათ. ოლაპარაკო ბევრი — არ ნიშნავს, ილაპარაკო კარგად.

როდის უნდა გავჩერდეთ? საჭიროა ყოველთვის დროული გაჩერება. აუცილებელია

რეგლამენტის დაცვა. არის გარეგანი რეგლამენტი — ეს არის დროის უჯრედი, სადაც წინასწარ არის ჩასმული ორატორი და შინაგანი რეგლამენტი — ორატორის სინდისი და მსმენელის მოთმინება.

ნიკოლოზ ცხაკაია

---

**ვურჩევდით მავანსა და მავანს, რომ დეტალურად გაეცნოს ორატორული სიტყვის კულტურისა და ხელოვნების წარმოთქმის ოსტატობას და მის მაგალითზე იმ ბრტყელ-ბრტყელი, მშრალი, უხალისო სიტყვების მაგივრად გამოიყენონ ზემოხსენებული ნაშრომი.**

# საყდრისი ააფეთქეს

ეკა ირემაშვილი

საყდრისი-ყაჩაღიანის გარშემო დაწყებულმა ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია. საყდრისი ააფეთქეს. „2014 წლის 12 დეკემბერს გამოცემული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03266 ბრძანებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის №2271 ბრძანების საფუძველზე კომპანია „არემჯიმ“ განაახლა სამთო-მოპოვებითი სამუშაოები საყდრის-ყაჩაღიანის №1 სალიცენზიო უბანზე.“

„საყდრისი ააფეთქეს, ეს დღეც დადგა!“ — აცხადებს მწერალი თეონა დოლენჯაშვილი.

აფეთქება 13 დეკემბერს, დილით მოხდა, უშუალოდ ძეგლზე 2 აფეთქება განხორციელდა.

„უსინდისო მთავრობამ და გარეწარმა სამინისტრომ თავისი გააკეთა და საყდრისის მთა უკანონოდ ააფეთქა. ჩვენი მეგობრები, რომლებიც დგანან კარვებში, ბანდიტურად გაიტაცეს თუ გაიტყუეს პოლიციაში, სასწრაფო წესით შეიტანეს ნაღმები და მოახდინეს ძეგლის აფეთქება, მაგრამ არ ჩამოიშალა მთა, გაოგნებულებმა ცოტა ხანი უყურეს, ახლა მიმდგრები არიან კოდალებით და ცდილობენ ჩანგრევას. რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა მივიდეთ და დავიცვათ ჩვენი ისტორია“, — აცხადებს საყდრისის ერთ-ერთი მცველი დათო გულბანი.

თავის მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ანთიძემ განაცხადა, რომ ადრე თუ გვიან საყდრისი თავისით მაინც დაინგრეოდა.

ორშაბათს საყდრისი აღარ იქნება! — ამ განცხადებას საყდრისის მცველები ავრცელებენ და ძეგლის ნგრევის შესაჩერებლად საზოგადოებას გაერთიანებისკენ მოუწოდებენ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან საყდრისის მცველებმა საპროტესტო აქცია გამართეს, საიდანაც აქციის მონაწილეები გაემართნენ კაზრეთში საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე:

„ეს გადამწყვეტი ბრძოლაა არა საყდრისისთვის, არამედ კულტურისთვის. კულტურის და ისტორიის ქონისთვის. უფლებისთვის რომ დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეები ვიყოთ და არა ტროიცკის ქვეშევრდომები. არა რუსი ინვესტორების მონები!“ — აცხადებს ხელოვნებათმცოდნე სოფია კილასონია.

საყდრისის თემას ეხმიანება „ტფილისის ჰამქარიც“: „მიუხედავად იმისა, რომ ქალაქზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარის“ მოქმედების არეალს ქალაქი თბილისი წარმოადგენს, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, დავაფიქსიროთ საკუთარი პოზიცია საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ძეგლის ვანდალური განადგურების წინააღმდეგ! ეს არის შემთხვევა, როცა არ აქვს მნიშვნელობა ოქროს საბადოსთან გვაქვს საქმე თუ არა. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ობიექტის არქეოლოგიურ მნიშვნელობას ვერავინ უარყოფს. ამდენად, იმ ფონზე, როცა პროფესიულ წრეებშიც კი არაერთგვაროვანი შეფასებებია, ხოლო საზოგადოების ნაწილი როგორც აღმასრულებელი, ასევე სასამართლო ხელისუფლებისგან კვლავ ელოდება პასუხგაუცემელ კითხვებზე არგუმენტირებული განმარტებების მოსმენას, მიუღებელია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს და ზოგადად სახელმწიფოს მხრიდან საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს მასშტაბური განადგურების პროცესის ინიცირება, რის საფუძველსაც წარმოადგენს 2014 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03266 ბრძანება და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის №2271 ბრძანება. დარწმუნებული ვართ, რომ ხელისუფლების ამგვარ პოზიციას თუ არ დაუპირისპირდა სამოქალაქო პროტესტის მძლავრი მუხტი, კულტურული მემკვიდრეობის განადგურების პროცესი მიიღებს მიზანმიმართული პოლიტიკის სახეს, რაც გამოუსწორებელი შედეგებით დასრულდება! შესაბამისად, მოვითხოვთ კომპანია „არემჯი“-ს მიერ წარმოებული სამუშაოების შეწყვეტას და ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ვინც კავშირშია საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის განადგურებასთან!“



საყდრისის თემაზე საგანგებო განცხადებას ავრცელებენ საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელოვანები, არქეოლოგები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები:

„2014 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03266 ბრძანებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის №2271 ბრძანების საფუძველზე კომპანია „არემჯიმ“ განაახლა სამთო-მოპოვებითი სამუშაოები საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე. გასათვალისწინებელია რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მიმდინარეობს სამართლებლივი დავა და სასამართლო გადაწყვეტილება შეჩერებულია კომპანიის მადნისმომპოვებელი საქმიანობა. მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, უკანონოდ დაიწყეს საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს მაშტაბური განადგურების პროცესი. ცნობილია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანი საერთაშორისოდ აღიარებული კულტურული მემკვიდრეობაა ჩვ.წ.-აღ-ის მეოთხე ათასწლეულიდან. მივმართავთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეონის დაცვის ეროვნულ სააგენტოს: 1. დღესვე დაუყოვნებლივ გაასაჯაროონ ბრძანებები №03266 და №2271. ეს ბრძანებები მიიღეს პარასკევს, რათა საზოგადოებას ვერ მოეხდინა სწრაფი რეაგირება და კომპანიას მიეცეს ძეგლის სრული განადგურების საშუალება 2 დღეში! 2. დაუყოვნებლივ შეჩერდეს კომპანიის მიერ წარმოებული დამანგრეველი სამუშაოები საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე! საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს გადარჩენის ერთადერთი საშუალება სამოქალაქო საზოგადოების საყოველთაო მობილიზებაა. ორშაბათს უკვე ძეგლი აღარ იქნება!“

კულტურის ყოფილმა მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ საყდრისთან დაკავშირებით განაცხადა: „მე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პოზიციაზე ყოფნისას მთხოვდნენ „საყდრისისათვის“ კულტურის ძეგლის სტატუსის მოხსნას ამ ბიზნესის წარმომადგენლები, რაზეც მტკიცე უარი მიიღეს. ჩემი პოზიცია იყო ამ საკითხის მიუკერძოებელი კომისიის მიერ შესწავლა და შემდეგ მიღება ინფორმირებული გადაწყვეტილებისა. დღეს, აშკარაა, იძალა ბიზნეს-ლობიმ ხელისუფლებაში და ამ საკითხის შეუსწავლელად ხდება ამ ობიექტის განადგურება, რაც უდაოდ უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი ქმედებაა მმართველი კლანის მხრიდან“.

ამ პროცესებს წინ უძღოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელ ნიკა ანთიძის მიერ საყდრისის გადარჩენის კომიტეტის ერთ-ერთი წევრის ირაკლი მამალაძისთვის სასამართლოში ჩივილი ცილისწამებისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით საყდრისის ერთ-ერთმა მცველმა ვლას ვაწაძემ ნიკა ანთიძეს საჯაროდ მიმართა და ჩივილამდე დეტალებში გარკვევა ურჩია: „ბოდიში, მაგრამ მოიქეცით გოიმურად (ოღონდ შეურაცხყოფად არ მიიღოთ, არც გაყენებთ. გოიმი ებრაული სიტყვაა და უცხოს ნიშნავს), ჰოდა, ნუ გაგოიმდებით, ნუ გაუცხოვდებით. ახლა მიდით და ეძიეთ, არის თუ არა ამ მიმართვაში ცილისწამება, მინდა, იმედი გაგიცრუო ვერ იპოვი, იმიტომ რომ, თუ ვინმეს ბრალს სდებ რამეში, დამადასტურებელი ფაქტებიც უნდა გქონდეს, არგუმენტები უნდა მოიყვანო. მე მაინტერესებს, რამდენი აიღეთ ამ წელს დანამატისა და პრემიის სახით და რაში მდგომარეობდა ამ პრემიების აღების არსი? რაში გაიხარჯა, რა პროექტებში სახელმწიფოსგან მიღებული თანხა? რატომ გააუქმეთ მარკეტინგის სამსახური? და კიდევ ათასი კითხვა. მაგრამ არც თქვენ და არც კულტურის მინისტრს საზოგადოებასთან საუბარი არ სურს. ჩვენს გვინდა დაგეხმაროთ ძეგლის დაცვაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, თქვენ კი ჭორაობთ. ბატონო ნიკოლოზ ყავა ხომ არ დაგველია?“

საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოს აფეთქებამდე საჯარო ბიბლიოთეკაში სპეციალური სემინარი გაიმართა, სადაც საყდრისი-ყაჩაღიანის კულტურის ძეგლის შესახებ პროფესიონალმა მეცნიერებმა გაავრცელეს რეალური ინფორმაცია, წარმოადგინეს ძეგლის წინააღმდეგ მიმდინარე დანაშაულებრივი ქმედებების ნამდვილი შინაარსი და გააჟღერეს ის პრიორიტეტები, რომლებიც, მათივე თქმით, დაიცავს ძეგლს დანგრევისგან XXI საუკუნის ყაჩაღი ვანდალებისგან.

„როდინდელია სინამდვილეში საყდრისი-ყაჩაღიანის მაღარო? როგორ დაადგინეს ეს მეცნიერებმა? სინამდვილეში არის თუ არა იქ ოქრო? და თუ არის, რამდენი? შეიძლება თუ არა საწარმოს მუშაობის გაგრძელება ისე, რომ მსოფლიოსთვის უნიკალური ძეგლი შევინარჩუნოთ? იწვევს თუ არა წარმოების მუშაობა რეგიონში ეკოლოგიურ პრობლემებს? შესაძლებელია თუ არა, ყაჩაღიანზე მუზეუმის მშენებლობით ბევრად დიდი და ხანგრძლივი სარგებელი მიიღოს ადგილობრივმა მოსახლეობამ, ვიდრე ერთჰექტარიანი ბორცვის აფეთქებითა და ორთვიანი სამუშაოებით მიიღებს? როგორ? მართლაც იწვევს თუ არა ყაჩაღიანის შენარჩუნება ინვესტორის დაკარგვას?“ — ეს და სხვა კითხვები ჯერ კიდევ აწუხებს საზოგადოებას. სამეცნიერო საზოგადოება და საყდრისის დაცვის კომიტეტი საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებით კიდევ ერთხელ შეეცადა საზოგადოების უკეთ ინფორმირებას. ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში მეცნიერებმა გეოლოგებმა, არქეოლოგებმა და ეკოლოგებმა ისაუბრეს ყველაზე მარტივი ენით ყველაზე მნიშვნელოვანზე. ისაუბრეს იმ მეცნიერებმა, რომლებიც რამდენიმე ათეული წელია აკვირდებიან და იკვლევენ აღნიშნულ ძეგლს და ტერიტორიას. „აღიარებული საყდრისის არაღიარებული ისტორია“ ვუწოდეთ ამ დისკუსიას და მისი განსახილველი საკითხები იყო საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა; ძეგლის ამჟამინდელ მდგომარეობა და პერსპექტივა, რეგიონის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ძეგლის კონტექსტში; ანალოგიური და მსგავსი შემთხვევების საერთაშორისო გამოცდილება; ბოლნისის რაიონის ეკოლოგიური პრობლემები და მიმდინარე კვლევები; პასუხები საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ არსებულ შეკითხვებსა და ეჭვებზე. საზოგადოებისთვის ყველაზე საინტერესო კითხვები მეცნიერებს მე დავუსვი. მაგრამ ამის გაკეთება ნებისმიერ ადამიანს შეეძლო, განსაკუთრებით სკეპტიკურად განწყობილებსაც, კულტურის სამინისტროს, „ჯეპრას“ და „არემჯი გოლდის“ წარმომადგენლებსაც. უკვე უხერხულია ჟურნალისტი, კულტურის სფეროს წარმომადგენელი და მეცნიერი ამბობდეს, რომ „ამ საქმის დეტალებში ვერ ერკვევა!“ — განაცხადა ხელოვნებათმცოდნე სოფია კილასონიამ.

საყდრისზე მიმდინარე მოვლენებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც გამოეხმაურა. მან დაგმო საყდრისის აფეთქება და სახელმწიფოსგან დამნაშავეების დასჯა მოითხოვა.

## თოდუების საგვარეულო წამლები სასწაულებს ახდენს

თოდუები მე-11 საუკუნიდან საუკეთესო მკურნალებად არიან ცნობილნი. მათი საგვარეულო წამლები უამრავ დაავადებას კურნავს. მათ საქმეს დღეს ქალბატონი ლამარა თოდუა აგრძელებს, რომელსაც უამრავი პაციენტი ჰყავს განკურნებული.

***— ქალბატონო ლამარა, რა დაავადებებს მკურნალობთ?***

— ჩვენი საგვარეულო მალამოები ეფექტურია დამწვრობის დროს, ერთი წასმით ჩერდება წვის პროცესი, კანის დამწვარი უბანი ხდება უმტკივნეულო. სწრაფად იკურნება ჭრილობები, დაჩირქებული, ნაოპერაციევი ნაწიბურები, დაჟეჟილობები, ნაღრძობი სახსრები. ვინც ჩვენ მალამოს წაისვამს ნებისმიერი მწერის ნაკბენ, შესიებულ კანზე, მაშინვე მიხვდება მის სიკეთეს. ვკურნავ ჰაიმორიტს 10 დღეში, ქრონიკულიც რომ იყოს. ღრძილების ძლიერ ანთებას, სოკოვან სტომატიტს, წითელ ქარს. მალამოთი მოვაშორებ მეჭეჭებს უმტკივნეულოდ. ჩვენი მალამოების გამოყენებით იკურნება ფეხების ძლიერი ოფლიანობა, ჩერდება თმის ცვენა, ბუდობრივიც კი. ჩვენი საგვარეული წამლები ბუნებრივ პროდუქტებზე არის დამზადებული და სასწაულებს ახდენს.

***— თქვენი წამლები მხოლოდ გარეგანი მოხმარებისაა?***

— ნებისმიერი ორგანიზმი მოითხოვს გაწმენდას. ჩვენი საგვარეულო წამლების გამოყენებით იწმინდება ნაღვლის ბუშტი, თირკმელები, შარდის ბუშტი, ფილტვები, კუჭ-ნაწლავი, იკურნება დისბაქტერიოზი, იდევნება ჭიები, სხვადასხვაგვარი მარილები. სუფთავდება სისხლი.

***— სახის კანის საშუალებებს თუ ამზადებთ?***

— პროფესიით ვარ კოსმეტოლოგი. ვმკურნალობ ნებისმიერ კანს. ვამზადებ სხვადასხვა ტიპის კანისთვის მკვებავებსა და ნიღბებს, გამწმენდ საშუალებებს. ვაშორებ ტილებს ერთი პროცედურით. წამალი კურნავს თმის ცვენას და აშორებს ქერტლს.

***— თქვენთან მკურნალობა რა ჯდება?***

— თოდუები ცნობილნი ვართ, იმითაც, რომ ჩვენთან მკურნალობა ყველასთვის ხელმისაწვდომია. დღეს ყველას უჭირს, ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხალხმა საკუთარი ჯანმრთელობა დაივიწყა. მარტოხელებს, უმწეოებს, გაჭირვებულებს ყოველთვის დავეხმარები და ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე მოვემსახურები.

**P.S. თუ გსურთ, განიკურნოთ თოდუების საგვარეულო, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებული წამლებით, მიმართეთ ლამარა თოდუას. მისი კოორდინატებია:**

**ოთარ ჭილაძის ქ.№166,**
**№10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან.**
**230 62 52; 599 16 10 82.**

## ქუთაისში ყველაზე იაფი სამშენებლო და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტი, გორგია“, გაიხსნა




გახსნის ცერემონია ქუთაისში ჭავჭავაძის 84-ში გაიმართა და პირველ 100 მომხმარებელს „გორგიასგან“ სპეციალური საჩუქარი გადაეცა.

ჰიპერმარკეტ „გორგიას“ მენეჯმენტთან ერთად, ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ გახსნა. ჰიპერმარკეტის გახსნას იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი და 200 მოწვეული სტუმარი დაესწრო.

3000 კვადრატულ მეტრზე განთავსებულ ჰიპერმარკეტში, მომხმარებელს იტალიაში, თურქეთში, გერმანიაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული 20 000-მდე დასახელების პროდუქტის შეძენა შეეძლება.

„ჰიპერმარკეტის გახსნა ქუთაისში სამშენებლო და სარემონტო მასალებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა. ჰიპერმარკეტში ასეულობით ახალი მიმართულება შევიტანეთ, რათა მომხმარებლისთვის მშენებლობა და რემონტი მაქსიმალურ კომფორტად ქცეულიყო. ჩვენ ერთ სივრცეში მოვაქციეთ ყველაფერი, რის შესაძენადაც მომხმარებელს სხვადასხვა მაღაზიებში და ბაზრობებზე სიარული უწევდა. ახალ ჰიპერმარკეტს სპეციალური საფასო პოლიტიკა აქვს და ჩვენ ასეულობით სამშენებლო და სარემონტო პროდუქტს საქართველოში ყველაზე დაბალ ფასად ვყიდით“, — აცხადებენ ჰიპერმარკეტ „გორგიაში“.

როგორც კომპანიის მენეჯმენტში განმარტავენ, ჰიპერმარკეტის ახალ კონცეფციაზე მუშაობა 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მისი განახლებისთვის მილიონ ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა. ჰიპერმარკეტის მაღალი სტანდარტების შესაბამისად მოწყობაზე, სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული უცხოელი სპეციალისტები მონაწილეობნენ.

კომპანიის ინფორმაციით, ჰიპერმარკეტში 80-მდე ადამიანი დასაქმდა. თითოეული მათგანი ჰიპერმარკეტის ახალი კონცეპტის შესაბამისად გადამზადდა.

ჰიპერმარკეტ „გორგიას“ პირველი ობიექტი თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარეობს და მომხმარებელს 25000-მდე დასახელების პროდუქტს საქართველოში ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად სთავაზობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარია.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# აშშ: რუსეთთან ურთიერთობა ძველებურად აღარ გააგრძელოთ!“

აშშ ყველა ქვეყანას მოუწოდებს, რუსეთთან საქმიანი ურთიერთობა უწინდებურად აღარ გააგრძელონ. ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა ჯენ ფსაკიმ რუსეთის დელეგაციის ინდოეთში ვიზიტისა და იქ რიგი საქმიანი კონტრაქტების გაფორმების ფაქტის კომენტირებისას განაცხადა.

„ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქვეყანას, არ აწარმოონ რუსეთთან ბიზნესურთიერთობები ძველებურად, როგორც აქამდე იყო. ჩვენ ვაგრძელებთ ამის მონიტორინგს. ბუნებრივია, არ ვიცნობთ ყველა კონტრაქტის სპეციფიკას, ობიექტური მიზეზების გამო“, — განაცხადა ჯენ ფსაკიმ.

მისივე თქმით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი უკრაინისთვის საუკეთესო დახმარების ვარიანტებს ეძებს, მაგრამ ამ ეტაპზე უკრაინაში არსებული კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარების ძიებაზეა ორიენტირებული.

„ვითარება ძალიან არასტაბილურია და შეშფოთებული ვართ აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული მდგომარეობით. მაგრამ ვაგრძელებთ გზების ძიებას, თუ რა გზით დავეხმარებით უკრაინას უფრო მეტად“, — აღნიშნა ჯენ ფსაკიმ.



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა რუსეთის რეაქციაზე, რომელმაც სენატის მიერ უკრაინის მხარდამჭერი კანონპროექტის მიღებას კონფრონტაციული უწოდა.

„უმჯობესია, ტერმინი „კონფრონტაცია“ იმ ფაქტებთან დაკავშირებით გამოიყენონ, რომელიც გრძელდება აღმოსავლეთ უკრაინაში, საავტომობილო კოლონებისა და შეიარაღებული სეპარატისტების გადაადგილების ჩათვლით“, — განაცხადა ჯენ ფსაკიმ.

აშშ-ის სენატმა მოიწონა უკრაინის მხარდაჭერის კანონპროექტი „უკრაინის თავისუფლების მხარდაჭერის აქტი 2014“. დოკუმენტი რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების უფლებას იძლევა. იმისათვის, რომ კანონპროექტი საბოლოოდ დამტკიცდეს ჯერ კონგრესის ქვედა პალატამ უნდა მოიწონოს, შემდეგ კი პრეზიდენტმა ობამამ მოაწეროს ხელი.

კანონპროექტი უკრაინას აშშ-ის ნატოს არაწევრ სამხედრო მოკავშირედ აცხადებს და უკრაინის არმიის მხარდაჭერის და შეიარაღების უფლებას იძლევა. დოკუმენტში უკრაინის სამხედრო დახმარებისათვის გათვალისწინებული 350 მილიონი დოლარი.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „რუსულ პროპაგანდასთან საბრძოლველად“ აუცილებელია „პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსულენოვანი მაუწყებლობის მნიშვნელოვანი გაფართოება და გაუმჯობესება“. პრიორიტეტად სახელდება რადიოსადგურების „ამერიკის ხმა“, „რადიო თავისუფლება“, „რადიო თავისუფალი ევროპა“ მაუწყებლობა უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში.

პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების აუცილებლობას ჯერჯერობით ვერ ხედავს. მან ასევე აღნიშნა, რომ სანქციების გამკაცრებამ შესაძლოა ამერიკასა და ევროპას შორის უთანხმოება ჩამოაგდოს.

აღსანიშნავია, რომ წინა დღით სენატმა და ქვედა პალატამ საგარეო სამხედრო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს 30 მლნ დოლარი გამოუყო. ამას გარდა, „ევროპის მხარდაჭერის ინიციატივის“ ფარგლებში, 57 მლნ აშშ დოლარი გამოიყოფა უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვასთვის დახმარების გაზრდის მიზნით. დამატებით 25 მლნ დოლარია გათვალისწინებული ევროპაში და ევრაზიაში აშშ-ის პარტნიორებისა და მოკავშირეების მხარდაჭერის მიმართულებით.

რუსეთის უკრაინაში აგრესიის საპასუხოდ შექმნილი „ევროპის მხარდაჭერის ინიციატივისათვის“ კონგრესმა 810 მლნ დოლარი გამოყო. ეს პროგრამა მიზნად ისახავს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შემდგომი დესტაბილიზაციის შეკავებას და ამ მიმართულებით შესაძლებლობების, რეგიონში ყოფნის, მზაობისა და რეაგირების გაზრდის მხარდაჭერას.

უკანასკნელ არჩევნებში ამერიკის კონგრესის ორივე პალატაში რესპუბლიკელთა მიერ უმრავლესობის მოპოვების შემდეგ ობამას ხელისუფლებაზე ზეწოლა ძლიერდება. რესპუბლიკელები რუსეთის მიმართ უფრო მტკიცე და აგრესიული პოლიტიკის წარმოებას და მოკავშირეების, მათ შორის უკრაინისა და საქართველოს, უფრო აქტიურ მხარდაჭერას მოითხოვენ.

— ვაშინგტონის მიერ დამატებითი სანქციების დაწესების შემთხვევაში მოსკოვი საპასუხო ზომებს მიმართავს, — ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი რიაბკოვმა განაცხადა.

მისივე თქმით, რომში რუსეთისა და ამერიკის პირველი დიპლომატების შეხვედრა იგეგმება, რომელზეც მხარეები უკრაინისა და ახლო აღმოსავლეთის კრიზისებს განიხილავენ. არ არის გამორიცხული, ლავროვმა კერისთან შეხვედრისას კონგრესის მიერ უკრაინის მხარდამჭერი აქტის მიღების თემა დააყენოს. რიაბკოვის თქმით, ამერიკელ კონგრესმენთა მიერ მიღებული დოკუმენტი აშკარად ანტირუსულ ხასიათს ატარებს.

დიმიტრი როგოზინს კი ამერიკელები „პატარა, ბოროტ ბავშვებს“ აგონებენ. ამ ეპითეტით რუსეთის ვიცე-პრემიერმა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, ჯენ ფსაკის განცხადება შეაფასა. „ისინი პატარა, ბოროტი ბავშვებივით იქცევიან: ახარებთ სხვისი წარუმატებლობა, შურთ სხვისი წარმატება და ყველგან ფეხს გიდებენ“, — განაცხადა როგოზინმა.

ამ ფონზე, რუსეთის დუმაში არ გამორიცხავენ, რომ რუსეთის პრეზიდენტს კვლავ მიანიჭონ უკრაინაში ჯარის შეყვანის უფლებამოსილება. ამის შესახებ პარტია „სპრავედლივაია რასიას“ ფრაქციის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მიხეილ ემელიანოვმა განაცხადა. მისი თქმით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ აშშ რეალობაში განახორციელებს სენატის მიერ მხარდაჭერილ დოკუმენტს და დაიწყებს უკრაინის შეიარაღებას.

„სრულიად შესაძლებელია, რომ ჩვენი სენატის გადაწყვეტილება ძალაში დავაბრუნოთ და მივცეთ პრეზიდენტს საშუალება გამოიყენოს შეიარაღებული ძალები უკრაინაში, თუ რუსეთისთვის რეალური საფრთხე შეიქმნება და არ დაველოდოთ იმ დროს, როდესაც უკრაინა იქნება კარგად შეიარაღებული და რუსეთის ფედერაციისთვის რეალური საფრთხე გახდება“, — განაცხადა ემელიანოვმა.

მიხეილ ემელიანოვმა უკრაინის მომავალიც „განჭვრიტა“ და განაცხადა, რომ რამდენიმე წელიწადში უკრაინა იქნება უღარიბესი და მშიერი ქვეყანა რუსოფობიური მთავრობით. აშშ კი, პარლამენტარის თქმით, მას რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ „ბოევიკად“ აქცევს.

# კუდრინი დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებს

რუბლის კურსი 2015 წელს მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, თუმცა მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში რუსული ეროვნული ვალუტა მცირედ შესუსტდება. ამის შესახებ რუსეთის ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა.

მისივე თქმით, ნავთობის გაუფასურების ტენდენცია კიდევ რამდენიმე თვეს გაგ-



რძელდება, მომავალი წლის მეორე ნახევრიდან კი შავი ოქროს ფასი მოიმატებს.

კუდრინის თქმით, რუბლის კურსი ნავთობის ფასზე იქნება დამოკიდებული.

„როდესაც ნავთობის ფასი მოიმატებს, რუბლის კურსი მცირედ გამყარდება. ამიტომ, ვვარაუდობ, რომ ერთი წლის შემდეგ რუბლის კურსი დღევანდელ ნიშნულზე იქნება ან მცირედით შესუსტდება“, — განაცხადა კუდრინმა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფების პარალელურად, რუსეთში ინფლაციის მაჩვენებელი იზრდება. ევროს კურსმა მოსკოვის ბირჟაზე ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 70 რუბლი შეადგინა. მნიშვნელოვნად გაიზარდა დოლარის კურსიც. ამ დროისათვის დოლარის კურსი 56,5 რუბლს შეადგენს. რუსული ეროვნული ვალუტის გაუფასურებას ბირჟის ექსპერტები ნავთობის ფასის დაცემასა და დასავლეთის სანქციებს უკავშირებენ.

# ნატო-რუსეთის კონფლიქტი, შესაძლოა, ათწლეულების განმავლობაში გაჭიანურდეს“

ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, ნატო-რუსეთის კონფლიქტი, შესაძლოა, ათწლეულების განმავლობაში გაჭიანურდეს. ინფორმაცია ამის შესახებ „დელფი“ ავრცელებს. ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, რუსეთის ნეგატიური ქმედებები არა მხოლოდ უკრაინაზე აისახა, არამედ იმ ქვეყნებზეც, რომელთაც ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება სურთ.



„მოდელი აშკარაა: რუსეთს სჯერა, რომ თუ ეს კონფლიქტები არ მოგვარდება, ნატო და ევროკავშირი ახალი ქვეყნების გაწევრიანებას არ დაუშვებენ“, — აღნიშნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა.

ანდერს ფოგ რასმუსენმა ასევე აღნიშნა, რომ ნატო-ს გენერალური მდივნის რანგში პირველი გამოსვლისას, განაცხადა, რომ ნატო და რუსეთი სტრატეგიული პარტნიორები იქნებოდნენ.

„ჩვენ ამაზე შევთანხმდით 2010 წლის სამიტზე. თუმცა, დღეს რუსეთი ნატო-ს ოპონენტად განიხილავს და ამის გამო ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ვფიქრობ, რუსეთსა და დასავლეთს შორის კონფლიქტი შესაძლოა ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდეს. ეს შეიძლება მხოლოდ ერთმა ფაქტორმა შეცვალოს — ნავთობის ფასმა, რასაც კონფლიქტის პერიოდის შემცირება შეუძლია“, — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

ნატო-ს გაერთიანებული ძალების ყოფილი სარდალი ევროპაში, ადმირალი ჯეიმს სტავრიდისი კი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უკრაინის სამხედრო დახმარებისკენ მოუწოდებს. „გარდიანის“ ინფორმაციით, როგორც ჯეიმს სტავრიდისმა განაცხადა, ალიანსმა კიევში სამხედრო მრჩევლები უნდა გააგზავნოს და არ შეზღუდოს კიევისთვის არალეტალური შეიარაღების მიწოდება.

„ვფიქრობ, ჩვენ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება უნდა გავუწიოთ უკრაინელ სამხედროებს და არ უნდა შევიზღუდოთ უკრაინისთვის არალეტალური იარაღის მიწოდებაში. ჩვენ უნდა მივაწოდოთ მათ საბრძოლო მასალა, საწვავი და დახმარება აღმოვუჩინოთ ლოჯისტიკის სფეროში. ჩემი აზრით, ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება უკრაინისთვის კიბერუსაფრთხოების სფეროში დახმარებას და მრჩევლების გაგზავნას“, — აღნიშნა ამერიკელმა ადმირალმა, რომელიც ნატო-ს გაერთიანებულ ძალებს ევროპაში 2009-2013 წლებში ედგა სათავეში.

ამ ფონზე, უკრაინის თავდაცვის მინისტრი ბიუჯეტის გაორმაგებას ითხოვს. სტეპან პოლტარაკის თქმით, სხვაგვარად პრორუს სეპარატისტებთან წარმატებით ბრძოლა გართულდება. მისივე განცხადებით, თავდაცვის უწყების ბიუჯეტი 3 მილიარდ დოლარამდე უნდა გაიზარდოს. ამასთან, უნდა ამოქმედდეს წვევამდელთა გაწვევის სისტემაც.

პოლტარაკის თქმით, 2015 წელს არმიაში 45 ათასამდე წვევამდელის გაწვევა იგეგმება, 10 ათასამდე მოსამსახურეს კი თავდაცვის უწყება კონტრაქტით აიყვანს.

„უკრაინას საფრთხე არა მხოლოდ აღმოსავლეთიდან, არამედ სამხრეთიდანაც ელის“, — ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა უმაღლეს რადაში გამოსვლისას განაცხადა. სტეპან პოლტარაკის განცხადებით, სამხედრო ინტერვენციის საფრთხე დნესტრისპირეთიდანაც არის მოსალოდნელი, რის გამოც უკრაინა სამხედრო კონტინგენტის რაოდენობას სამხრეთ საზღვრებთანაც გაზრდის.

უკრაინის თავდაცვის სამინისტრო აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო მოქმედებებისას დაღუპულთა სიასაც აქვეყნებს. უწყების ოფიციალურ საიტზე 900-მდე სამხედრო მოსამსახურის გვარია გამოქვეყნებული. რაც შეეხება ანტიტერორისტული ოპერაციისას დაღუპულ მშვიდობიან მცხოვრებთა რაოდენობას, გაეროს მონაცემებით, მათი რიცხვი 4300-ს აჭარბებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა


## უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების– სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში.თუ განკურნებისთვის მზად ხართ,დაგვიკავშირდით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმი ყველანაირი გართულების მოხსნით და ღვიძლის გაწმენდით, „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“. პრეპერატი შეგიძლიათ ფარულად საკვებში შეურიოთ,. თამბაქოს მწეველობის მიტოვება (ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან) ნეტუროპათიითა და ფიტოთერაპიით. გარანტირებულად უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 599-65-43-66; 557-14-22-36 ნინო ექიმი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, სამტრედიის 50-ში, შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ნუ გადადებთ ზაფხულისთვის. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# გიორგი ჭიაბრიშვილი: გია გეგუჩაძე კარგი კანდიდატურაა“

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში საკმაოდ საინტერესო გუნდი გამოჩნდა — „საბურთალო“. ეს ახალგაზრდული გუნდია და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს ბევრ ფეხბურთელს აწვდის. „საბურთალო“ პირველ ლიგას დამაჯერებლად ლიდერობს და მეორე ადგილზე მყოფ ჭიათურას პირველი წრის შემდეგ 7 ქულით უსწრებს.

საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ სპორტული დირექტორი და გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი ჭიაბრიშვილია, რომელიც ფეხბურთის მოყვარულებს „ზესტაფონში“ მუშაობის პერიოდიდან ემახსოვრება. იმერულ კლუბში ჭიაბრიშვილი ჯერ გია გეგუჩაძის ასისტენტი იყო, გეგუჩაძის წასვლის შემდეგ კი, თავად გახდა მთავარი მწვრთნელი. მან კარგად იცის გეგუჩაძის მუშაობის მეთოდი და გასაკვირიც არ არის, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მის კანდიდატურას ემხრობა.

***— რა შეფასებას მისცემთ პირველ წრეს? რამდენად კმაყოფილი ხართ მიღწეული შედეგით?***

— სასიამოვნო და სასიხარულოა, როდესაც დამაჯერებლად ვლიდერობთ გათამაშებას, მაგრამ ჯერ მხოლოდ საქმის ნახევარი გვაქვს გაკეთებული, წინ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. წლეულს მეორედ ვასპარეზობთ პირველ ლიგაში, შედეგი უკეთესი უნდა გვქონოდა, ვიდრე გასულ წელს, მაგრამ თუ ამ დონეზე ჩავატარებდით სეზონს და ამხელა ჰანდიკაპით ვიქნებოდით წინ, არ მეგონა. თუმცა, თამაშებმა დაგვანახა, რომ მეტოქე კლუბებზე უკეთ ვიყავით მომზადებულები, ლამაზ და სანახაობრივ ფეხბურთს ვთამაშობდით, ბოლომდე ვიბრძოდით.

***— პირველ წრეში „საბურთალომ“ 18 მატჩი გამართა, გუნდის თამაშის ხარისხზე რას იტყვით?***

— იმ მატჩებიდან, რომლებიც პირველ წრეში გავმართეთ, ძირითადად სანახაობრივი და ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ბევრი იყო შედეგიანი მატჩები, ლამაზი გოლები, კომბინაციური თამაშები. იყო სტადიონები, სადაც ელემენტარულად ბურთს ვერ გააგორებდი, ასეთ საფარზე ძნელია ლამაზი ფეხბურთი შესთავაზო გულშემატკივარს, თუმცა მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. ვინც სისტემატურად ადევნებდა ჩვენს მატჩებს თვალყურს, შეამჩნევდა თუ როგორ სათამაშო სტილს ვანიჭებთ უპირატესობას. იმედი მაქვს ჩვენს მიერ არჩეულ გეზს პატარა საბურთალოელებიც მიბაძავენ.

***— პირველ წრეში გუნდი 4-3-3 სქემით თამაშობდა. მომავალშიც ამ ტაქტიკით გააგრძელებთ ასპარეზობას?***

— ახლა, ცოტა რთულია ამაზე საუბარი, რადგან ტაქტიკას ვირჩევთ იქიდან გამომდინარე თუ როგორი სტილის გუნდია ჩვენი მოწინააღმდეგე, როგორ ფეხბურთს თამაშობს, რა კონტინგენტით გვიწევს ასპარეზობა. საერთოდ, სამი ფორვარდით თამაშს ვემხრობი, რადგან უფრო მომგებიანი და შედეგიანია.

***— „საბურთალოს“ პირველ გუნდში ძირითადად სკოლის აღზრდილები ირიცხებიან, თუმცა 2-3 ფეხბურთელი სეზონის სტარტზე შეუერთდა კლუბს. რამდენად გაამართლეს იმედები მცველმა — ნოდარ იაშვილმა და ფორვარდმა გიორგი ფხაკაძემ?***

— კლუბში, როდესაც კვალიფიციური ახალგაზრდები ირიცხებიან, რთულია ახალი კადრების მიყვანა, რადგან ეს ყველაფერი გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. შესაძლოა, ახალწვეულებმა შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინონ, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში დადებითად მოხდა — როგორც იაშვილმა, ასევე ფხაკაძემ საგრძნობლად გაგვაძლიერეს და შემიძლია თამამად გითხრათ, რომ კარგად წარმოაჩინეს თავი. ახალწვეულებით კარგი შევსება მივიღეთ, ამით კონკურენცია კიდევ უფრო გაიზარდა გუნდში.

***— აქვე კლუბის ერთადერთ ლეგიონერზეც გკითხავთ — მუჰამედ დიოპი თუ რჩება „საბურთალოში“?***

— ჩემი დიდი სურვილია, რომ დიოპი დარჩეს კლუბში, რადგანაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ვფიქრობ, დღესდღეობით მსგავსი დონის ლეგიონერი საქართველოში არ მოიძებნება. მართალია, გარკვეულ დროს ტრავმიანობდა და ჰქონდა მცირე ჩავარდნები, მაგრამ კვალიფიციური ფეხბურთელია და ბევრი დადებითი თვისება გააჩნია. როგორც ვიცი, სენეგალელს სხვა კლუბებიდან შეთავაზებები აქვს, მაგრამ კონტრაქტით რამდენიმე თვე კიდევ ჩვენ გვეკუთვნის. ყველაფერი მალე გადაწყდება, ჩვენთან გააგრძელებს კარიერას თუ დატოვებს გუნდს.

***— მომავალი გეგმები, მზადება... როდის იკრიბება „საბურთალო“?***

— 15 დეკემბერს შევიკრიბებით და მეორე წრისთვის დავიწყებთ ინდივიდუალური პროგრამით მზადებას. ვიქირავეთ ფიტნეს დარბაზი, სადაც კვირაში სამჯერ ძალაზე ვიმუშავებთ, ასევე დრო დაეთმობა აერობულსაც. ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს წინ რთული ნახევარი სეზონი ელით,



მათ არა აქვთ უფლება, რომ სათანადოდ ვერ მოემზადონ. 16-17 იანვარს სამედიცინო შემოწმებას გავივლით, მივიღებთ პასუხებს, რამდენად ჯანმრთელად არიან ფეხბურთელები, 18-ში დავისვენებთ, 19 რიცხვში კი ადგილზე ორი კვირის განმავლობაში მოვემზადებით. 1 თებერვალს გეზს თურქეთისკენ ავიღებთ, სადაც 16 თებერვლამდე დავრჩებით. ამ დროის განმავლობაში ხუთ სპარინგ-შეხვედრას ჩავატარებთ, მინდა, რომ ყველა მეტოქე უმაღლესი ლიგის ბინადარი იყოს. ჯერ მოწინააღმდეგეები არ არის ცნობილი, თუმცა ამ ეტაპზე რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ სიტყვიერი შეთანხმება არსებობს და 3 თებერვალს ბულგარეთის ერთ-ერთ უმაღლესლიგელს გავეჯიბრებით.

***— „საბურთალოს“ ფეხბურთელები მრავლად არიან წარმოდგენილნი, როგორც 17, ასევე 19 წლამდელთა ნაკრებებში. ასაკობრივ ნაკრებებს მაისსა და ივნისში მნიშვნელოვანი მატჩები ელით, მანამდე კი სავარაუდოდ შეკრებები ექნებათ. არა და, იმ პერიოდში ქვეყნის პირველობა პირველ ლიგაში ასე ვთქვათ, გახურებული იქნება. გაზაფხულის დადგომამ, ხომ არ შეიძლება თავისებური სირთულეები შექმნას ფეხბურთელებთან დაკავშირებით?***

— „საბურთალო“ ყოველთვის იცავდა ქვეყნის ინტერესებს და ამჯერადაც ასე იქნება. ვიმედოვნებ, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან გამოსავალს ვიპოვით და ერთობლივად მოვილაპარაკებთ ისე, რომ არც ერთის საქმე არ დაზიანდეს. რა თქმა უნდა, ასაკობრივ ნაკრებებს პრინციპული მატჩები ელით და ყველანაირად გვერდში დავუდგეთ, მაგრამ ჩემპიონატში ჩვენც რთული თამაშები გვექნება. პირველ ადგილზე ვართ და გვინდა ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

***— საინტერესო იქნება თქვენი მოსაზრება ხსენებულ ნაკრებებზე — რა შანსები აქვთ 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს ელიტ რაუნდის დასაძლევად?***

— ერთი შეხედვით, 17-წლამდელების ჯგუფი უფრო შედარებით იოლია, ვიდრე 19-წლამდელების, თუმცა ორივე ნაკრებს წინ დიდი ბრძოლები ელის. ორივე ჯგუფს დადებითი მხარეები აქვს — 17-წლამდელთა ნაკრებების ჯგუფიდან კარგია რომ შემდეგ ეტაპზე ორი გუნდი გადის, ხოლო 19-წლამდელების უპირატესობა ისაა, რომ ხსენებულ გათამაშებას საქართველოს დედაქალაქი მასპინძლობს. ჯგუფში, როდესაც გყავს ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრები, ძალიან რთულია პირველი ადგილის დაკავება. ამ ქვეყნის ფეხბურთელები ევროპის წამყვან კლუბებში ასპარეზობენ, თუმცა ჩვენს ნაკრებებშიც არიან ნიჭიერები, ტექნიკურები, რომლებსაც წარმატებით თამაში შეუძლიათ. ასევე მინდა გამოვყო სამწვრთნელო შტაბი — გიორგი დევდარიანი და მისი სტაფი საკმაოდ კვალიფიციურია. მეიმედება და მჯერა წარმატებით გამოსვლას შეძლებენ.

***— საქართველოს ნაკრები ამ ეტაპზე უმწვრთნელოდაა. თქვენ, რომელ და როგორ სპეციალისტს მიიჩნევდით სასურველად?***

— ეს უბრალოდ ჩემი აზრია და ვფიქრობ, რომ გია გეგუჩაძე კარგი კანდიდატურაა. მას გამოცდილებაც საკმაო აქვს, იცის ახალგაზრდებთან მუშაობა, კარგ ანალიზს უკეთებს თამაშებს, თავის საქმის პროფესიონალი და ერთგული ადამიანია.

***— თქვენ, უმაღლესი ლიგის კლუბშიც გიმუშავიათ, მაშინ „ზესტაფონი“, რომ იტყვიან, სათამაშო ფორმის პიკში იყო. რა განსხვავებებს ხედავთ უმაღლესსა და პირველ ლიგებს შორის?***

— მაშინ, უძლიერესთა ლიგაში მუშაობა სხვაგვარი იყო — ყველა ჩემპიონობასა და შემდეგ ევროტურნირებზე წარმატებულ თამაშს ითხოვდა. უმაღლესსა და პირველ ლიგებს შორის დიდი სხვაობაა სათამაშო კლასში, ინფრასტრუქტურაში. უმაღლესში მხოლოდ ბრძოლით ფონს ვერ გახვალ, ბევრად გამოცდილი გუნდები თამაშობენ, თუმცა იქაც არიან ისეთი კლუბები, რომლებიც არ აღემატებიან პირველ ლიგაში მყოფ კლუბებს.

***— რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქართულ ფეხბურთში, რომ საწყის ეტაპზე მცირე პროგრესი მაინც გვქონდეს?***

— სახელმწიფო აუცილებლად უნდა დაეხმაროს სპორტს, სხვანაირად გაჭირდება პროგრესი, ასევე კერძო ბიზნესი უნდა ჩართოს აქტიურად. ის ბიზნესმენი რაღაცით უნდა დააინტერესოს, რომ გაუჩნდეს სურვილი ფეხბურთში ფულის დაბანდების. რა თქმა უნდა, დიდი როლი აკისრია ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც მთავარი მმართველია სპორტის ამ სახეობის. კლუბები არ უნდა იყვნენ სხვებზე დამოკიდებულნი იმის იმედად, რომ სეზონის სტარტზე, შუაში თუ მიწურულს გარკვეულ დახმარებას მიიღებს. აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა, რაც შეიძლება მეტი ხარისხიანი მინდვრები გვქონდეს, რომ თამაშის სანახაობამ მოიმატოს. პირადად, არ მიმაჩნია მართებულად, როდესაც ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა იზრდება იმ დროს, როდესაც კლუბებს ელემენტარულად მასპინძლობის საშუალება არა აქვთ და გუნდები ერთი და იგივე სტადიონებზე თამაშობენ საშინაო შეხვედრებს.

# კოსტა ილიევი სპორტის მინისტრსა და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვდა

თბილისში სამუშაო ვიზიტით მყოფი ფიბა-ს ეროვნული ფედერაციებისა და სპორტის განვითარების მენეჯერი კოსტა ილიევი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად სპორტის სამინისტროში იმყოფებოდა. ფიბა-ს მაღალჩინოსანთან ერთად მინისტრ ლევან ყიფიანს ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე და გენერალური მდივანი გოგა ქართველიშვილი შეხვდნენ.

ფიბა-ს მაღალჩინოსანი იმ სამუშაო ჯგუფში შედიოდა, რომელმაც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წესდება შეიმუშავა. ილიევმა ქართულ მხარეს ის რეკომენდაციები მისცა, რაც ახალ წესდებაში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ფიბა-სა და საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად წესდების შემუშავებაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროც იყო ჩართული. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე უცხოელმა სტუმარმა აღნიშნა კიდეც, რომ ეს იყო კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს სამი რგოლი — სახელმწიფო, ფედერაცია და საერთაშორისო ფედერაცია.

მინისტრთან შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდა ესპანური საკალათბურთო კლუბის, „ლაბორალ კუჩას“ სპორტული დირექტორი ხესუს ვასკესი. საქართველოს კალათბურთის ფედერაციას „ლაბორალ კუჩასთან“ ხელშეკრულება აკავშირებს, რომელიც მჭიდრო თანამშრომლობას მოიცავს განსაკუთრების ახალგაზრდა თაობის განვითარებასა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში.

სამუშაო შეხვედრის შემდეგ უცხოელმა სტუმრებმა, მინისტრმა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს.

**ლევან ყიფიანი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი:**

— კოსტა ილიევი გახლავთ ფიბას ეროვნულ ფედერაციებთან ურთიერთობის და კალათბურთის განვითარების ხელმძღვანელი. მისი ჩამოსვლა დაკავშირებულია ორშაბათს გასამართ კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო ყრილობასთან. ახალი წესდება სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ფიბამ წარადგინა. ეს არის იდეალური ვარიანტი ჩვენი თანამშრომლობისა, წესდება მორგებული იქნება საქართველოს რეალობას და ორიენტირებული იქნება განვითარებაზე, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვთა და საკლუბო კალათბურთის განვითარება. ამას ემსახურება კალათბურთის განვითარების პროგრამა, რომელიც ახალი წლიდან ამუშავდება და მისცემს საშუალებას კლუბებს, განახორციელონ განვითარებაზე ორიენტირებული ცვლილებები, სამინისტრო მაქსიმალურად დაუჭერს მხარს მათ. კარგი იქნება, თუ აღნიშნული პროგრამა სპორტის სხვა სახეობებშიც დაინერგება.

**კოსტა ილიევი, ფიბას ეროვნული ფედერაციებისა და სპორტის განვითარების მენეჯერი:**

— ჩვენი მთავარი მიზანი იყო დავხმარებოდით ფედერაციას შეემუშავებინა წესდება, რომელიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს დემოკრატიულ მოთხოვნებს. განვიხილეთ წესდების ყველა დეტალი, მათ შორის ყრილობაზე წარმომადგენლობის და დელეგატობის საკითხი და გავუწიეთ ეროვნულ ფედერაციას რეკომენდაციები. რა თქმა უნდა, თავად ეროვნულმა ფედერაციამ თავის იურისტებთან ერთად განიხილა ეს რჩევები, მათ ყველაზე კარგად იციან ქვეყნის კანონმდებლობა და სპეციფიკა. საბოლოოდ, მივიღეთ ძალიან კარგი დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო მოთხოვნას. ჩვენი თანამშრომლობა კი იყო სანიმუშო და სამაგალითო 3 მხარის — სამინისტროს, ეროვნული და საერთაშორისო ფედერაციების ეფექტური და შედეგიანი მუშაობისა.

**მიხეილ გაბრიჩიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:**

— ბატონ კოსტას ხშირად ვხვდებოდით და აქტიურად ვმუშაობდით ერთად და საბოლოოდ შევაჯერეთ შეხედულებები. ეს თანამშრომლობა მივიდა იქამდე, რომ შევიმუშავეთ მაქსიმალურად კარგი და დემოკრატიული წესდება, რომელიც აკმაყოფილებს ფიბას რეკომენდაციებს. რაც მთავარია, ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაონ ერთად სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, ეროვნულმა ფედერაციამ და საერთაშორისო საკალათბურთო სამყაროს უმაღლესმა ორგანომ, ფიბამ იმისთვის, რომ მოგვარდეს სამართლებრივი და სპორტული საკითხები. დარწმუნებული ვარ, ეს წესდება იმუშავებს და არანაირი სპეკულაციების თემა აღარ გახდება. ჩვენი პრიორიტეტი იქნება ბავშვთა კალათბურთი, რამდენიმე წელიწადში კი ქალთა კალათბურთიც განვითარდება და ვგეგმავთ, ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონატის ჯერ ც, ხოლო შემდეგ ბ დივიზიონში ჩაერთონ.

**ხესუს ვასკესი, ლაბორალ კუჩას სპორტული დირექტორი:**

— ჩვენ საკმაოდ ახლო და ინტენსიური თანამშრომლობა გვაკავშირებს საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, მიხარია, რომ დღეს მეც აქ ვარ. ვცდილობთ ქართულ მხარეს ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ, ჩვენი წარმატების მთავარი საფუძველი იყო ბავშვთა კალათბურთის განვითარება და სასიხარულოა, რომ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისთვისაც ეს მომენტი პრიორიტეტულია. გვინდა, ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა ჩამოვიდეს ჩვენთან, ისეთი ვარსკვლავები აღმოვაჩინოთ, როგორიც თორნიკე შენგელიაა. დარწმუნებული ვარ, ქართულ კალათბურთს დიდი მომავალი აქვს და სპორტის ამ სახეობის დონე სულ უფრო და უფრო აიწევს.

# საქართველოს თასის ბოლო მეოთხედფინალისტი რუსთავია

**რუსთავი – მგზავრები არმია 70:69**

**(16:23; 15:13; 16:10; 23:23)**

უაღრესად დაძაბულ და დრამატულ მატჩში „რუსთავმა“ „მგზავრები-არმია“ დაამარცხა და თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა. ამ გუნდების მატჩი 5 დეკემბერს, რუსთავში უნდა გამართულიყო, თუმცა დარბაზში არასაკმარისი ტემპერატურის გამო შეხვედრა გადაიდო და თბილისში, საკალათბურთო აკადემიის დარბაზში მოგვიანებით ჩატარდა.

რუსთაველებმა თასის გათამაშების მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩი თბილისში იოლად მოიგო და ნახევარფინალში გასასვლელად მეორე გამარჯვების მოპოვება ესაჭიროებოდა. ქვემოქართლელებმა საწადელს მატჩის ბოლო წამზე მიაღწიეს — 70:69.

საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე ქვემოქართლური გუნდი 66:60 იგებდა, მაგრამ დაშვებული შეცდომების გამო 3 სწრაფი შეტევა მიიღო და ძირითადი დროის დასრულებამდე 17 წამით ადრე ანგარიში გათანაბრდა — 66:66. რუსთაველთა მწვრთნელმა მიხეილ ბერუაშვილმა წუთშესვენება აიღო, შეტევა დაგეგმა, რაც ზუსტად დააგვირგვინა მიხეილ ჭოჭუამ და „რუსთავი“ დასრულებამდე 7 წამით ადრე 68:66 დააწინაურა.

წუთშესვენებაზევე დაგეგმეს შეტევა „მგზავრები-არმიას“ მთავარმა მწვრთნელმა ბუბა ბერიშვილმა და მოთამაშეებმა. გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა მერაბ ბოქოლიშვილმა სწრაფი შეტევა წარმატებით დააგვირგვინა, თან რუსთაველთა ამერიკელი ლეგიონერი აიძულა, დაჯარიმებულიყო. ბოქოლიშვილმა 1 საჯარიმოც ჩააგდო და საფინალო სირენამდე 3.3 წამით ადრე „მგზავრები-არმია“ 69:68 დააწინაურა.

რუსთაველთა მორიგი წუთშესვენება და მიხეილ ჭოჭუას არაზუსტი სამქულიანი, თუმც აცილებული ბურთი რუსთაველმა გოგა ცეკვავამ მოიხელთა და იატაკზე დაუშვებლად ესროლა. ქვემოქართლელთა უკანასკნელმა ბურთის სროლა მოასწრო — საფინალო სირენა მაშინ გაისმა, როცა ბურთი მის ხელებს მოსწყდა და რუსთაველებს გამარჯვებასთან ერთად თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზური მოუტანა.

„რუსთავი“ ნახევარფინალში „ბათუმს“ შეუწყვილდა, ფინალის მეორე საგზურს ერთმანეთში „დინამო“ და „ქუთაისი“ გაითამაშებს.

**ბუბა ბერიშვილი, მგზავრები-არმიის მთავარი მწვრთნელი:**

— ამ თამაშს აუცილებლად განვიხილავთ ფედერაციასთან ერთად და ვიდეო ანალიზს გავაკეთებთ. თუ ყველაფერი რიგზე იყო, გამოვა რომ ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია.

**მიხეილ ბერუაშვილი, რუსთავის მთავარი მწვრთნელი:**

— მართალია გავედით შემდეგ ეტაპზე, მაგრამ ძალიან უკმაყოფილო ვარ. ეს თამაში წესით არ უნდა მოგვეგო, უბრალოდ გაგვიმართლა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# დინამო არენას რეკონსტრუქცია იწყება

კარგა ხანია ცნობილია, რომ 2015 წლის უეფას სუპერთასის მატჩი თბილისში, „დინამო არენაზე“ ჩატარდება. „დინამო არენას“ რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეხვედრა გაიმართა და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს.

რამდენიმე საკითხი განსაკუთრებით აღსანიშნავია:

სტადიონის ეკრანის, გახმოვანების და განათების სისტემის გამოცვლა; სტადიონის სკამების გამოცვლა; ტრიბუნების შეფერილობა; ფასადის ფერები; სტადიონის მედია-ტრიბუნის ადაპტირება უეფას მოთხოვნებთან მიმართებაში; გადახურვა; ადგილები.

აღნიშნული შეხვედრა „დინამო არენას“ დირექტორის ნიკოლოზ ჯღარკავას ინიციატივით შედგა. მან მონაწილეებს სტადიონის ფერების საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. ჯღარკავამ შეხვედრაზე ევროპის 30 საუკეთესო სტადიონის შესახებ მიმოხილვა გააკეთა. აღმოჩნდა, რომ 30-დან 23 სტადიონზე დომინირებს 1 ფერი, 3-ზე — 2 ფერი, 1-ზე — 4.

შეხვედრის 30-მდე მონაწილე, რომელთა შორისაც ქალაქ თბილისის მერიის ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ხელმძღვანელი კახაბერ გვანცელაძე, უეფას მედია-ოფიცერი მამუკა კვარაცხელია, არქიტექტორი, „დინამოს“ სტადიონის 2006 წლის განახლების პროექტის ავტორი არჩილ ქურდიანი, კინორეჟისორი გოგი თორაძე, ჟურნალისტი, სფფ-ის 2015 წლის სუპერთასის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა დვალიშვილი და სხვები იყვნენ, ერთხმად შეთანხმდა, რომ „დინამო არენას“ ტრიბუნების შეფერილობა ერთი ფერის უნდა იყოს, კერძოდ — ლურჯი. ალტერნატიულ ფერად კი ნაცრისფერი განიხილეს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საორგანიზაციო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მოხდება მედია-ტრიბუნების ადაპტირება — ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ე.წ. პრეს-ლოჟის გადახურვა, ადგილების გაზრდა და იზოლირება. აღნიშნული საკითხის მოგვარება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სპორტული მედიის წარმომადგენლებისთვის, რადგან ამინდის გაუარესების შემთხვევაში „დინამო არენას“ მედია-ტრიბუნებზე მუშაობა შეუძლებელი ხდება.

მ. ჟ.

# შენგელია ევროლიგის შემდეგ ეტაპზეა, ფაცაციას კი სანიკიძე ელოდება

„მილუოკი ბაქსმა“ მორიგი ბობოქარი მეტოქე იმსხვერპლა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა დასავლეთ კონფერენციის და სრულიად ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი „კლიპერსი“ ისტუმრა და 111:106 დაამარცხა.

მილუოკელებმა გამარჯვებას ბრძოლაში მიაღწიეს. ბოლო პერიოდის წინ მასპინძლები 1 ქულით იგებდნენ, თუმცა ბოლომდე მედგრად დადგნენ და ლოსანჯელესელებს სეზონში მე-7 წაგება აგემეს.

ზაზა ფაჩულია თამაშში სათადარიგოთაგან ჩაერთო და მოედანზე მთლიანობაში 20 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 6-დან 1 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, რამაც 4 ქულა შეადგინა. ამასთან, ზაზამ 3 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება მიითვალა, ბურთი კი 2-ჯერ დაკარგა.

მილუოკელთაგან თავი გამოიჩინა ახალგაზრდა გიანის ანტეტოკოუმპომ, რომელმაც თავის გუნდს 20 ქულა შესძინა. ანტეტოკოუმპო ფაჩულიას მეტოქე იქნება მომავალ სექტემბერში, ევროპის ჩემპიონატზე. გიანისი აფროამერიკული რასის წარმომადგენელი კია, მაგრამ საბერძნეთის მოქალაქეა და ელადელებს, რომლებიც ევრობასკეტზე საქართველოს ჯგუფში არიან, მისი დიდად ეიმედებათ.

„მილუოკის“ 12-12 მოგებ-წაგება დაუგროვდა და ამ შედეგით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზეა. მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი 15 დეკემბერს ისევ შინ, „ფინიქსთან“ გამართავს.

თორნიკე შენგელიას შესანიშნავმა თამაშმა და ვიტორიულ „ლაბორალს“ ევროლიგაში უმნიშვნელოვანესი მატჩი მოაგებინა და ევროლიგაში ჯგუფიდან გასვლა გაიფორმა. ბასკურმა გუნდმა თანამემამულე „ვალენსიას“ 93:89 აჯობა.

სასიხარულოა, რომ ვიტორიელებმა ამ გამარჯვებას ქართველი ფორვარდის დიდი თანამონაწილეობით მიაღწიეს. თორნიკე შენგელია მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. მისი მონაგარი ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო.

არადა, თორნიკემ არცთუ ბევრი — 25 წუთი ითამაშა, თუმცა ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, ყველაზე შედეგიანი გამხდარიყო. ქართველი ფორვარდის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 19 ერთეული შეადგინა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელია.

თორნიკემ თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 25 წუთში 15 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი დააგროვა. შენგელიამ 6-დან 5 ორქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამიანი კი ააცილა. ქართველი ლეგიონერის შემდეგ შედეგიანობით ფრანგი ფაბიენ კასიე მოდის, რომელმაც შენგელიაზე 10-ით მეტი, 35 წუთი ითამაშა და 21 ქულა დააგროვა. ვიტორიელთაგან 10-ქულიანი ზღვარი ფერნანდო სან ემეტერიომაც დაძლია — 13 ქულა.

„ლაბორალ კუჩას“ 5 მოგების წილ 4 მარცხი დაუგროვდა და ამ შედეგით დ ჯგუფში „ცრვენა ზვეზდასთან“ 2-3 ადგილებს იყოფს. ბოლო ტურში, 19 დეკემბერს ვიტორიელები ბელგრადში სწორედ „ცრვენა ზვეზდას“ ხვდებიან და გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფში მე-2 ადგილს დაიკავებენ.

ლევან ფაცაციას „ნიჟნი ნოვგოროდმა“ კი სტამბოლში „ეფესი“ დაამარცხა და ევროლიგის მეორე ეტაპზე გასასვლელად ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა. რუსულმა კლუბმა ბოლო ტურში შინ ჯგუფიდან ოფიციალურად უკვე გასული ვიქტორ სანიკიძის „უნიკსი“ უნდა დაამარცხოს და საწადელს აისრულებს.

ამ მომენტისთვის კაუნასის „ჟალგირისს“ ნოვგოროდელთა მსგავსად 4 მოგება აქვს, თუმცა ურთიერთშეხვედრებში რუსული კლუბი ჯობს და თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ფაცაციას გუნდი ჯგუფიდან გავა.

ნოვგოროდელებმა ბეწვის ხიდზე გაიარეს — ლატვიელი აინარს ბაგაცკისის გაწვრთნილმა გუნდმა „ეფესს“ სტამბოლში დაძაბულ მატჩში 65:61 მოუგო და მანამდე თითქმის უიმედოდ მყოფმა ჯგუფიდან გავლის გზა მნიშვნელოვნად გაიკვალა.

ქართველი ფორვარდი მატჩის სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 16:37 წუთს იმყოფებოდა, თუმცა საკუთარ დავალებას შესანიშნავად გაართვა თავი და გამარჯვებაშიც საკუთარი წილი დაიდო.

ფაცაციამ 6-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, თითო საჯარიმო და სამიანი კი ააცილა. 4 ქულასთან ერთად ქართველმა ფორვარდმა 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა დააგროვა, ბურთი კი არ დაუკარგავს. ნოვგოროდელთაგან საუკეთესო არტიომ პარახუსკი იყო 8 ქულით, 7 მოხსნით და 4 დაფარებით. ბომბარდირობა კი დიმიტრი ხვოსტოვმა და ტრეი ტომპკინსმა გაიყვეს 14-14 ქულით.

მ. ჟ.

# იაპონიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს

იაპონიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს. „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, 2012 წელთან შედარებით, საარჩევნო პროცესი ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა.



პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნის გადაწყვეტილება ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ ნოემბერში მიიღო. ეს ნაბიჯი მან იმ იმედით გადადგა, რომ მმართველ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში პოზიციებს გაიმყარებდა.

სოციოლოგიური გამოკითხვებით, რომლებიც არჩევნებს წინ უსწრებდა, აღნიშნულ პარტიას მოსახლეობის ფართო მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს.

იაპონიის პარლამენტი ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოა 1889 წლიდან; ორივე პალატაში წარმომადგენლები საყოველთაო არჩევნებით ირჩევა. წარმომადგენელთა (ქვედა) პალატა შედგება 480 დეპუტატისგან და 4 წლის ვადით აირჩევა. ასაკობრივი ცენზი 25 წელია. 180 დეპუტატის შერჩევა ხდება პარტიული სიებით.

მრჩეველთა (ზედა) პალატა შედგება 252 დეპუტატისგან და 6 წლის ვადით აირჩევა. ასაკობრივი ცენზი ზედა პალატაში 30 წელია. 98 დეპუტატს ირჩევენ მმართველი პარტიიდან პრემიერ-მინისტრის სიით.

# ისლამისტები ქალაქ ჰომსის მცხოვრებლებს უსწორდებიან

„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა 4 სირიელი მამაკაცი სიკვდილით დასაჯეს. ჰომსთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებს შარიათის კანონების დარღვევის ბრალდებით ჯიჰადისტებმა თავი მოჰკვეთეს.



ანალოგიურ შემთხვევას ჰომსში ადგილი 3 დღის წინაც ჰქონდა. ისლამისტებმა ქალაქის ცენტრში მკრეხელობაში ბრალდებულ მამაკაცს თავი მოჰკვეთეს, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი კი ქვებით ჩაქოლეს.

„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ერაყის შეიარაღებული ძალების კუთვნილი ვერტმფრენიც ჩამოაგდეს. ი ც635 ტიპის სამხედრო ვერტმფრენს ჯიჰადისტებმა რაკეტა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო დანადგარიდან ესროლეს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა სირიასა და ერაყში ამერიკული სარაკეტო კომპლექსები ჩაიგდეს ხელში, 4 თვის წინ გავრცელდა. ოქტომბერში ისლამისტებმა ქალაქ ბეიჯიში ამერიკული ვერტმფრენი ჩამოაგდეს.

# რომის პაპმა დალაი-ლამა არ მიიღო

რომის პაპმა ტიბეტის სულიერ ლიდერთან შეხვედრაზე უარი თქვა. გავრცელებული ინფორმაციით, პაპთან აუდიენცია თავად დალაი-ლამამ ითხოვა, რომელიც რომში ნობელის ლაურეატებს შეხვდა, თუმცა ფრანცისკ პირველმა ტიბეტის ლიდერი არ მიიღო.



ვატიკანი პაპის გადაწყვეტილების მიზეზად ჩინეთის ფაქტორს ასახელებს, რომელსაც დალაი-ლამა სეპარატისტ ლიდერად ჰყავს გამოცხადებული.

როგორც ვატიკანი აცხადებს, პაპს ჩინეთთან ურთიერთობის გაუარესება არ სურს.

თავის მხრივ, სულიერი ლიდერის წარმომადგენელი იუწყება, რომ დალაი- ლამას უხერხულობის შექმნა არ სურს და პატივისცემით ეკიდება რომის პაპის გადაწყვეტილებას.

ჩინეთსა და ვატიკანს შორის ურთიერთობა 1949 წელს ჩინეთში კომუნისტების მოსვლის შემდეგ შეწყდა. ამ დროისთვის ქვეყანაში 100 მილიონზე მეტი კათოლიკე ცხოვრობს, თუმცა ამ დრომდე ჩინეთში ერთი ეპისკოპოსი არ მოღვაწეობს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# მექსიკელმა პილოტმა საჭე მსახიობს ანდო

მექსიკაში თვითმფრინავის პილოტმა მისი მართვის საშუალება მომღერალსა და სერიალების მსახიობ ესმერალდა უგალიდეს ანდო. ამ დროს თვითმფრინავის ბორტზე 128 მგზავრი იმყოფებოდა, იტყობინება დი ტელეგრაფი.



გამოცემის ინფორმაციის თანახმად, ინციდენტი კანკუნ-მეხიკოს რეისის დროს მოხდა. პილოტმა მსახიობს თხოვნაზე უარი ვერ უთხრა და თვითმფრინავის საჭესთან დასვა. იმ დროს მფრინავის კაბინაში ასევე იმყოფებოდა მისი 19 წლის მეგობარი გოგონაც, რომელმაც მსახიობს საჭესთან რამდენიმე სურათი გადაუღო.

სკანდალი კი მას შემდეგ აგორდა, როდესაც 23 წლის მსახიობმა ერთ-ერთი ფოტოსურათი ტვიტერში საკუთარ მიკრობლოგში განათავსა და სადაც მას ორმოცი ათასამდე ხელმომწერი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ოდნავ მოგვიანებით უგალიდემ ფოტოსურათი წაშალა, ავიაკომპანიის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი გახდა მომხდარის შესახებ და პილოტი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

მსახიობის მეგობარი შეეცადა პილოტი დაეცვა, როდესაც მან განაცხადა, რომ ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც თვითმფრინავი ჯერ კიდევ მიწაზე იმყოფებოდა, მაგრამ თავად პილოტმა აღიარა, რომ წესების დარღვევა ფრენის დროს ჰაერში მოხდა.

— პილოტის მხრიდან მსგავსი ქმედება დაუშვებელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თვითმფრინავს ავტოპილოტი მართავს, მფრინავების კაბინა ხელშეუხებელი უნდა რჩებოდეს მგზავრების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, — განაცხადა ავიაკომპანიის პრესმდივანმა ხორხე ბადიამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



1. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 2. საოპერო სოლო პარტია; 3. სახელმწიფო ევროპაში; 4. შუადღის დასვენება ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 5. ექსპერიმენტი; 6. ხურდა ფული დანიაში; 7. რიგითი მეზღვაური; 8. გერმანელი ფილოსოფოსი (1724-1804 წწ.); 9. ვაგონის დახურული ბაქანი; 10. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 11. ქართული ფილმი-ზღაპარი; 12. კურკოვანი ხილი; 13. ატმოსფერული მოვლენა; 14. ფრანგი ეკონომისტი (1767-1832 წწ.); 15. ქალბატონი (ინგლისურად); 16. ... დელონი; 17. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 18. ალკოჰოლური სითხე; 19. ოფიციანტი გერმანიაში; 20. ძველფრანგული ოქრო-ვერცხლის ფული; 21. მონარქიულ სახელმწიფოთა ერთგვარი კავშირი; 22. წილი ბიზნესში; 23. სამხედრო ფორმის ქურთუკი; 24. თევზსაჭერი გემი; 25. ღვთაებრივი „მხსნელი“; 26. დრო, ხანი; 27. გავლენა, ავტორიტეტი; 28. ამერიკის კოსმოსური სააგენტო; 29. საშუალო სასწავლებელი მეფის რუსეთში; 30. წონის ერთეული; 31. სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 32. ქართული გაზეთი.

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰამამი; 2. ოქსინო; 3. მარჟა; 5. კატა; 6. ნუნისი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. პრომილე; 14. ბულიონი; 15. წირქოლი; 19. ტიკი.

**თარაზულად:** 1. ჰიპოპოტამი; 4. მარკონი; 7. მანტისა; 9. ჟაკერია; 10. ატენი; 12. აშკენაზი; 16. ბარიტონი; 17. ტორნადო; 18. სიკოფანტი; 20. ნიუტონი; 21. ლეგო; 22. ცელსიუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტეკილა; 2. ლინდერი; 3. მისისპი; 4. სკორსეზე; 8. კოლექტორი; 9. სკაგერაკი; 11. ცემენტი; 12. შუნი; 14. ჟიგა; 16. ყაბალახი; 17. ლანჩხუთი; 19. ბურახი; 21. ოდესა.

**თარაზულად:** 5. სინოპეკი; 6. ინსბურკი; 7. ველასკესი; 10. მიკოზი; 13. კვანზა; 15. ინჟენიუ; 12. ტაბორი; 20. დეკანი; 22. ბურგუნდია; 23. ახალციხე; 24. ესპანეთი.

# კონსერვატორიაში საახალწლო შეხვედრები იწყება

ეკა ირემაშვილი

15 დეკემბრიდან ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიაში XVII საერთაშორისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ აიღებს სტარტს, რომელიც 29 დეკემბრამდე გაგრძელდება.

მე-17 ფესტივალში მონაწილეობენ მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები მევიოლინე, ჩაიკოვსკის, ვენიავსკის, სიბელიუსის სახელობის საერთაშორისო სავიოლინო კონკურსების პირველი პრემიის ლაურეატი ნიკიტა ბორისოგლებსკი, საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჩელისტი გიორგი ხარაძე, პიანისტები საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ილია კონდრატიევი და მსოფლიო ვარსკვლავი ბორის ბერეზოვსკი, ჯაზ-ტრიო შვეიცარიიდან, ფოლკლორული ანსამბლი „იმერი“, კონსერვატორიის მაგისტრატურის გუნდი, მსოფლიო საოპერო სცენის ქართველი ვარსკვლავები ქეთევან ქემოკლიძე, თეონა დვალი, სალომე ჯიქია, გია ონიანი, სულხან გველესიანი, კონცერტი ეძღვნება ოთარ თაქთაქიშვილის დაბადებიდან 95 წლისთავს.

ფესტივალს კონსერვატორიის დიდ დარბაზში კამერული მუსიკის კონცერტი გახსნის, სადაც დაუკრავს თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“, სოლისტი ნიკიტა ბორისოგლებსკი (ვიოლინო), საკონცერტო პროგრამაშია ჩაიკოვსკის, ცინცაძის, ვენიავსკის ნაწარმოებები.

17 დეკემბერს ფესტივალის ფარგლებში ჯაზის საღამო გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ჯაზ-ტრიო შვეიცარიიდან. შესრულდება მაიკლ არბენცის, ფლორიან არბენცისა და თომას ლანსის ნაწარმოებები.

19 დეკემბერი ქართულ ფოლკლორს დაეთმობა. ფოლკლორული მუსიკის კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ანსამბლი „იმერი“ რობერტ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით.

21 დეკემბერს ფესტივალის ფარგლებში საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი გაიმართება. მსმენელისთვის დაუკრავს ილია კონდრატიევი, საკონცერტო პროგრამაშია ბეთჰოვენის, დებიუსის, ბარტოკის, შუბერტისა და ლისტის ნაწარმოებები.

23 დეკემბერს კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართება. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ და ჩელისტი გიორგი ხარაძე. შესრულდება შოსტაკოვიჩის, ჰაიდნისა და აზარაშვილის ნაწარმოებები.

25 დეკემბერს ფესტივალი საგუნდო მუსიკის კონცერტს უმასპინძლებს. მსმენელის წინაშე წარსდგება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრატურის კამერული გუნდი, დირიჟორები თამარ დეკანოსიძე, ეთერ ბროლაძე, ლაშა მიროტაძე, გიორგი რევიშვილი, ლევან ჯაგაევი და არჩილ უშვერიძე.

27 დეკემბერი საფესტივალო კალენდარში ვოკალური მუსიკის კონცერტის დღეს და ის ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს მიეძღვნება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქეთევან ქემოკლიძე, სალომე ჯიქია, თეონა დვალი, გია ონიანი, სულხან გველესიანი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის ორკესტრი, დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

წლევანდელი ფესტივალის ბოლო დღეს, 28 დეკემბერს, საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი ჩატარდება. მსმენელისთვის პიანისტი ბორის ბერეზოვსკი ბახის, ლისტის, დებიუსისა და რახმანინოვის ნაწარმოებებს შეასრულებს.

კონსერვატორიაში დაგეგმილ ფესტივალზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-დან 30 ლარამდე მერყეობს.

# შავნაბადამ“ საგალობლების დისკი გამოსცა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბა არაა თვითნებური. ჩანაწერები მოსმენილია მაღალკვალიფიციური და ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებების მქონე პროფესიონალის მიერ. დისკი საჩუქრად დაურიგდება ყველა ეკლესიასა და მონასტერს, ასევე გალობის შესწავლის მსურველს“, — განუცხადა „ახალ თაობას“ ანსამბლის მედიასთან ურთიერთობის მენეჯერმა მაია ღუღუნიშვილმა.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, „ქართულ საეკლესიო გალობას ერისა და ეკლესიის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია და განაპირობებს მის სულიერ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას. ამა თუ იმ ხალხისათვის გალობა, ისევე როგორც ენა, წარმოადგენს თვითმყოფადობის გამომხატველ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. აქედან გამომდინარე, ისტორიულ ტრადიციებზე დაყრდნობით ვაცხადებთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური გალობა იყო და არის ქართული. მისი აღსრულება სავალდებულოა ყველა ქართულ ტაძარში და ქართულ ენაზე აღვლენილი ღვთისმსახურების დროს. მგალობელთა გუნდებს ეძლევათ ლოცვაკურთხევა, რათა ე.წ. რუსული, ევროპული და ბიზანტიური, გალობა შეცვალონ ქართული კანონიკური მრავალხმიანი გალობით. საგალობლების თანდათანობით შეცვლას ზედამხედველობა გაეწევა საპატრიარქოს სამგალობლო ცენტრის მიერ, იმ მოძღვრის მიმართ კი, რომელიც დაარღვევს წმიდა სინოდის დადგენილებას, მიღებული იქნება საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული ზომები“.

მიუხედავად სინოდის ამ გადაწყვეტილებისა, დღესაც საქართველოს ტაძრებში არ სრულდება ქართული ტრადიციული გალობა, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. ამის მიზეზი ქართული ტრადიციული გალობის განვითარების მაღალი დონე, მისი სირთულე და პედაგოგების ნაკლებობა გახლავთ. ჩვენი ქვეყნის რთული ისტორიული პროცესების გამო, ახალგაზრდა თაობაში რთული ხდება ქართული ტრადიციული გალობის გადაცემა, ეს მხოლოდ ნოტების მეშვეობით არის შესაძლებელი. ევროპული ნოტები სათანადოდ ვერ ეხმარება გამოცდილ, თითოოროლა მგალობელს, ქართული გალობა სრულიად და უშეცდომოდ გაავრცელოს მთელი საქართველოს მასშტაბით. იმისთვის, რომ მოხდეს ქართული ტრადიციული გალობის კანონიკაში მართებულად მოყვანა, უწმინდესის კურთხევით ანსამბლმა ,,შავნაბადამ“, სწორედ ამ მიზნით წამოიწყო, საგალობლების სასწავლო დისკების გამოცემა. ამ დროისათვის უკვე 5 აუდიო კომპაქტდისკი გამოსცა, რომელზეც ჩაწერილი იქნება საგალობლები და ამასთან ერთად თითოეული საგალობლის თითო ხმა, რათა მგალობელმა შეძლოს გალობის შესწავლა ზეპირი წესით და არა ნოტით.

პროექტი განხორციელდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და თიბისი ბანკისა და ფონდ „ქართული გალობის“ ხელშეწყობით. საგალობლები კი საზოგადოებრივი რადიო-1-ის მიერ ჩაიწერა და მომზადდა.

# ლაშა ბუღაძის პიესა სამეფო უბნის თეატრში

ეკა ირემაშვილი

სამეფო უბნის თეატრი და თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით 21-24 დეკემბერს წარმოადგენენ აქტუალური დრამის ფესტივალს „სასტიკი თეატრის დღეები“.

სასტიკი თეატრის დღეების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება იმ პიესების კითხვები, რომლებიც თანამედროვე სამყაროს სისასტიკეს მოურიდებლად და დოკუმენტური სიზუსტით ასახავენ. ფესტივალის პროგრამა მთლიანად აიგება მასალაზე, რომელიც პირველად გაჟღერდება ქართულ სცენაზე, თუმცა მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს თეატრებში მათი არაერთი დადგმა უკვე იხილა საზოგადოებამ და ეს ავტორებიც თანამედროვე კლასიკოსებად არიან აღიარებულები. ფესტივალი ასევე ხელს უწყობს აქტუალური ქართული დრამის პოპულარიზაციასაც, პიესებს, რომელთა უმრავლესობაც საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზს წარმოადგენენ.

21 დეკემბერი — ნინო ხარატიშვილი, „მრისხანება“, დევი ჰაროუერი, „შავი ფრინველი“, 22 დეკემბერი — დენის კელი, „დნა“, დათა თავაძე, „დედაომი“, 23 დეკემბერი — ლაშა



ბუღაძე, „26 მაისი“, სარა კეინი, „აფეთქებული“, ფესტივალს დახურავს დავით გაბუნიას პიესა „რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება“, რეჟისორი — დავით ხორბალაძე. დრამატურგი დავით გაბუნია წინასწარ აანონსებს, რომ სუსტი გულის პატრონები, ბავშვები და სიწმინდის დამცველები ფესტივალს არ დაესწრონ.

ფესტივალის ღონისძიებებზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

# ქართველმა პიანისტმა ლისტის ფესტივალზე გაიმარჯვა

ეკა ირემაშვილი

ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა მარიამ ბაწაშვილმა ფერენც ლისტის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა. 21 წლის ხელოვანმა პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა.

მან საერთაშორისო პრესის ჟიურის პრიზიც მიიღო. კონკურსის თანახმად, გამარჯვებული სამი წლის განმავლობაში მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა ქვეყანაში საკონცერტო პროგრამით წარსდგება. მარიამ ბაწაშვილს თან ახლდება შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც მის შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს. პიანისტი სწორედ ამ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. გამარჯვებული პიანისტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემაც მიიღო და გამარჯვება პირადად მიულოცა. შეხვედრას ესწრებოდნენ სტუმრები ჰოლანდიიდან ლისტის საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორები რობ ჰილბერნიკი, ქუინთენ პილენი და ნანდელ ჩირკელი.



ფერენც ლისტის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში სამ წელიწადში ერთხელ ტარდება და მასში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსები იღებენ.

მარიამ ბაწაშვილი უკვე ოთხი წელია გერმანიის ქალაქ ვაიმარში, ლისტის სახელობის კონსერვატორიაში სწავლობს. ახალგაზრდა პიანისტი არაერთი პრესტიჟული კონკურსის გამარჯვებულია.

# ელექტრა“ რუსთაველის თეატრშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნული თეატრის ასოცირებული სამხატვრო ხელმძღვანელი და საბერძნეთის კინოცენტრისა და თეატრალური გაერთიანების „აკროპოლი“-ს გენერალური დირექტორია. მის მიერ განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე ,,დიონისეს დღესასწაულები“ საბერძნეთის ეროვნულ თეატრში, დევიდ მემეტის ,,ტყე“ უძველეს თეატრში „ეპიდაურუს“, კაკოიანისის ,,გოგონა შავებში“ საბერძნეთის ეროვნულ თეატრში, „ცა და დედამიწა“ ეკლესიასტემეგა, ორუელის „ცხოველების ფერმა“, ბრუკსის „ახალგაზრდა ფრანკენშტეინი“. მისი ფილმოგრაფია კი ჯერჯერობით ერთ ნამუშევარს „ქარიტონისქორო“ მოიცავს. ამჯერად ბერძენი რეჟისორი საქართველოში ჩამოვიდა და რუსთაველის თეატრში სოფოკლეს „ელექტრა“ დადგა.

# კალეიდოსკოპი

## ტაილანდელმა პრინცესამ ტიტულზე უარი თქვა



ტაილანდის სამეფო ტახტის მემკვიდრის მეუღლემ პრინცესა სრირასმი ახარაფონგრიჩიმ ნებაყოფლობით თქვა უარი დედოფლის ტიტულზე. მისი ეს თხოვნა უკვე დააკმაყოფილა ქვეყნის 87 წლის მეფე პხუმიპონ ადულიადეტმა, იტყობინება ასოშეიტედ პრესი.

პრინცესას გადაწყვეტილებას წინ უძღოდა კორუფციული სკანდალი, რომელშიც მისი ოჯახის წევრები იყვნენ გარეულები. 1 დეკემბერს ტაილანდის ტახტის მემკვიდრე პრინცმა მახა ვადჩირალონგკორნმა თავისი მეუღლის ნათესავებს საპატიო წოდებები და ტიტულები ჩამოართვა. მან აკრძალა ახარაფონგრიჩის გვარის ვინმეს მიერ გამოყენება.

პრინცესას სამი ნათესავი პოლიციამ კორუფციის ბრალდებით დააპატიმრა. ყველა მათგანი ქვეყნის ცენტრალურ საგამოძიებო ბიუროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა.

პრინცი ვადჩირალონგკორნი თავის მამას მეფე პხუმიპონ ადულიადეტს შეცვლის, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო დროს ტაილანდში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, მიმდინარე წლის ოქტომბერში მონარქს სანაღვლე ბუშტის ოპერაცია გაუკეთდა. ბოლოს ის საზოგადოების წინაშე მიმდინარე წლის ნოემბერში გამოჩნდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ბოლო წლებში თავის მამის მთელ რიგ მოვალეობებს ტაილანდის ტახტის მემკვიდრე პრინცი ასრულებს.

პრინცესა სრირასმი ტახტის მემკვიდრე პრინცის მეუღლე 2001 წლის თებერვალში გახდა. 2005 წლის აპრილში მათ შეეძინათ შვილი — დიპანგკორნ რასმიჯოტი, რომელიც მამის შემდეგ ტახტის მემკვიდრე გახდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ტახტის მემკვიდრე პრინცი უკვე კარგა ხანია თავის მეუღლესთან არ ცხოვრობს, რომელიც მისი რიგით მესამე ცოლია. მას სულ შვიდი შვილი ჰყავს, მაგრამ მხოლოდ სამს აქვს მინიჭებული სამეფო ტიტული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ამერიკაში ყველაზე დიდ გარდერობიანი სახლი იყიდება



აშშ-ში ყველაზე დიდი მოცულობის გარდერობის მქონე სახლი გასაყიდადაა გამოტანილი. ამ ინფორმაციას ჰიუსტონ პრესი ავრცელებს. ნაგებობის ფასი, რომელიც ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) 12,9 მილიონი დოლარია.

სახლის საერთო ფართი, რომელსაც 20 ოთახი აქვს, 1,6 ათასი კვადრატული მეტრია, რომელთაგან 914 კვადრატული მეტრი სამ სართულიან საგარდერობე ოთახს უკავია.

მისი პირველი სართული განკუთვნილია ჩანთებისა და სამკაულებისთვის. მეორე სართული განკუთვნილია ფეხსაცმელების, ჩასაცმელების, ქუდებისა და ბეწვეულის შესანახად, ასევე მასში გამოყოფილია სივრცე წვეულებების გასამართად. ხოლო თუ რა დანიშნულებისაა მესამე სართული, უცნობია. სახლის პატრონმა ტერეზა რომერმა ერთ-ერთ გამოცემასთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას ახალი სახლის აშენება აქვს დაგეგმილი, რომელსაც კიდევ უფრო დიდი საგარდერობე ექნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



# TV პროგრამა

ორშაბათი
15 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 01.30 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** 17.00 "ქართული ჯარი" 17.30 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 18.30 ტ/სერ. **"ნუ შეეყვარებით ოცნებას"** 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "არენა" 23.30 მხ/ფ **"კოტონ მერი"** 02.10 "სამოთხის ვაშლები"

08.00 დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" 09.00 მხ/ფ **"ტიტანთა შერკინება"** 10.45 დ/ფ "ბრინჯის მფლობელები" 11.35 მხ/ფ **"გაგიჟებული"** 13.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ვენა" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 17.00, 21.00, 22.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა. 10.05 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ (პ/ე) 14.40 სერ. **"უდანაშაულო"** 17.35 სერ. **"ბოშა ქალი"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 მხ/ფ **"გაქცევის გეგმა"** (ა.შვარცენეგერი) 00.20 ქ.მხ/ფ **"კომა"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნიჭიერი 00.30 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00 ჯიდიპედია 11.00, 18.00 **სერ. "მენტალისტი"** 11.50, 15.50, 18.50, 19.45, 21.50 მინიპედია 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 დ/სერ. "აირჩიე კაბა" 14.30 დ/სერ. "ფოტო გარეკანისთვის" 15.00, 21.00 **სერ. "პანიკის გარეშე"** 16.00 სტილის სამყარო 17.00 დ/ფ 19.00 პეპლის ეფექტი 20.00 დ/სერ. "მსოფლიოს ფესტივალები" 20.35 URBAN STORIES 22.00, 01.10 მხ/ფ 00.10 ჯიდიპედია 03.15 მუსიკა

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ **"ლაქა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** 13.25 კონცერტი - კამერული მუსიკის საღამო (მანანა დოიჯაშვილი) 15.05 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 15.25 სპექტაკლი "აკაკი" 17.10 დ/ფ "მოგზაურობა ფოლკლორში" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"ძმა"** 20.40 ძილი ნებისა 21.25 პატერიკი 21.30 ღვთის სახლი 21.45 დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ისე წილკნელი" 22.25 დ/ფ "ქართული კალათბურთი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "შორ ვართ" 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ხარება და გოგია"** I სერ. 01.10 ნიამორი

მაესტრო 7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.40, 22.00, 1.30 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუჩები და ბუნები"** 23.30, 3.30 **სერიალი "მდუმარენი"** 1.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი"

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.8315

ევრო — 2.2771

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8764

100 რუსული რუბლი — 3.3426

## ამინდის პროგნოზი 15 დეკემბრისთვის






## კალეიდოსკოპი

### ბუკინჰემის სასახლის ბაღში სახიფათო სოკო აღმოაჩინეს

ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ს ოფიციალური რეზიდენციის ბაღში ჰალუციოგენური სოკოები აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას დი დეილი ტელეგრაფი ავრცელებს.



სოკოები ტელეწამყვანმა ალან ტიტჩმარშმა აღმოაჩინა ფილმ ,,დედოფლის ბაღის" გადაღების დროს და რომლის დემონსტრირება ბრიტანეთის ტელეარხ აიტივით 25 დეკემბერს მოხდება.

ტიტჩმარში ბუკინჰემის სასახლის ბაღს ეკოლოგიის სპეციალისტ მიკი კროულთან ერთად ათვალიერებდა. როდესაც ტელეწამყვანმა სოკო შენიშნა, ის დაინტერესდა, შეიძლებოდა თუ არა მისი ჭამა და ამის თაობაზე შეკითხვა ექსპერტს დაუსვა. კროულის თქმით, ამ სოკოს მირთმევის შემთხვევაში ადამიანი თავს ძალიან ცუდად იგრძნობს, თუმცა ზოგიერთი ეროვნების ადამიანები მას მისი ჰალუციოგენური თვისებების გამო მიირთმევენ.

ტიტჩმარშმა ტელემაყურებლებს მიმართა თხოვნით, რომ ამ სოკოს მოხმარებისგან თავი შორს დაიჭირონ.

მოგვიანებით სამეფო სასახლის პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ ამ სოკოს სამეფო ოჯახის საკვებად არ გამოიყენებენ.

ფილმში კი, რომელიც ბუკინჰემის სასახლის ბაღზეა გადაღებული, მოთხრობილი იქნება, თუ როგორ გარდაისახა რამდენიმე საუკუნის მანძილზე სამეფო ბაღი. გარდა ამისა, მასში ასევე ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იცვლება ბაღის სახე წლის დროების მიხედვით.

### ავსტრიელი ქალი ეროტიკული სურათებისთვის დაისაჯა

ავსტრიაში მცხოვრები ქალბატონი ეკლესიაში გადაღებული ეროტიკული შინაარსის ვიდეოს გამო გაასამართლეს. 29 წლის ელიზამ (გვარი უცნობია), რომელიც ინტერნეტში ,,ბასბის" სახელითაა ცნობილი, რამდენიმე ეროტიული შინაარსის ვიდეორგოლი ჩაწერა ჰერშინგის ერთ-ერთ რელიგიურ დაწესებულებაში. ამასთან რამდენიმე ვიდეორგოლის დასაწყისში მას ხელში ბიბლია ეჭირა და პირჯვარს იწერდა.



სასამართლომ ახალგაზრდა ქალს სამი თვით პირობითი პატიმრობა და ჯარიმის სახით 5350 ევროს გადახდა მიუსაჯა.

აღსანიშნავია, რომ ელიზას მიერ გადაღებულმა და ინტერნეტით გავრცელებულმა ვიდეორგოლებმა, მისი ავტორისთვის 10700 ევროს მოგების მოტანა მოასწრო.

ეკლესიაში შეუფერებელი ქცევის გამო პოლიციას საჩივრით ადგილობრივმა ღვთისმსახურმა ბერნჰარდ პაუერმა მიმართა და რომელსაც ვიდეორგოლის თაობაზე ჰერშინგის სკოლის მოსწავლეებმა აუწყეს.

გოგონა მას შემდეგ დააკავეს, როდესაც ის ეროტიულ ვიდეორგოლში ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ამოიცნო. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ვიდეორგოლში ელიზას სახე არ ჩანს.

სასამართლოში გოგონამ დანაშაული აღიარა და ღვთისმსახურს მოუბოდიშა. ამასთან მან განაცხადა, რომ არ იცოდა თუ მისი ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულთა რიგს განეკუთვნებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## fcnhjghjuyjpb 15 დეკემბრისთვის

**ვერძი** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, გელით საინტერესო შემოთავაზება. **კურო** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ტყუპები** — საკუთარ თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** —ბოდიშის მოხდა მოგინდებათ. **ლომი** — ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით. **ქალწული** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **სასწორი** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ და ეს გადამდები აღმოჩნდება. **მორიელი** — დაისვენეთ, გადაღლილი ხართ. **მშვილდოსანი** — დღეს თავს ბედნიერად იგრძნობთ. **თხის რქა** — განტვირთვის დღე არ გაწყენთ, დაისვენეთ და ცოტა გაერთეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერს მოასწრებთ. **თევზები** — ლექსის დაწერა მოგინდებათ, რომანტიკაში ჩაიძირებით.

უბცეჰდტ,ს ,ტლყბტჰ ლქტც=

# 16 დეკემბრიდან!

## „ახალ თაობასთან" ერთად

# რჯული ქრისტესი. შობა. წიგნი I




## „შავნაბადამ" საგალობლების დისკი გამოსცა

ეკა ირემაშვილი

ანსამბლმა ,,შავნაბადამ" საგალობლების მესამე სასწავლო დისკი და სანოტო კრებული გამოუშვა. მათი პრეზენტაცია-კონცერტი თიბისი გალერეაში გაიმართა. მესამე ალბომში შესულია ნათლობის, ქორწინებისა და მღვდლად კურთხევის საგალობლები.

პრეზენტაცია-კონცერტში, ანსამბლ ,,შავნაბადასთან" ერთად, მონაწილეობა მიიღეს ოზურგეთის, ლანჩხუთის, გორის, ხაშურის, დედოფლისწყაროს, თელავისა და გურჯაანის გალობა-სიმღერის სკოლის გუნდებმა. პრეზენტაციის დასასრულს, ახალი გამოცემული ალბომი საჩუქრად დაურიგდათ სტუმრებს.

„ორი წლის წინ ანსამბლმა ,,შავნაბადამ" უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოსცა სამი აუდიო კომპაქტდისკი, რომლებზეც ჩაწერილია მწუხრის ყველა საგალობელი და, ამასთან ერთად, თითოეული საგალობლის თითო ხმა, რათა მგალობელმა შეძლოს გალობის შესწავლა ზეპირი წესით და არა ნოტით. მეორე ალბომში კი შესულია წირვის საგალობლების სასწავლო კომპაქტდისკი, რომელსაც თან ახლავს სანოტო კრებულიც. „შავნაბადას" არაერთი ალბომი გამოუცია ქართული ტრადიციული და ფოლკლორული მუსიკის მოყვარულთათვის. თითოეული მათგანი ანსამბლის შემოქმედებითი სახის მატარებელი და გარკვეული მიმართულების მქონეა სასიმღერო ფოლკლორში. ასეთ შემთხვევაში მათი შემოქმედებითი თვალსაწიერი, მხოლოდ ჩვენს ინდივიდუალურ გემოვნებაზე იყო დამოკიდებული. ახლა კი, მიგვაჩნია, რომ



ეს გამოცემა მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. იგი არ გავს მათ სხვა კომპაქტდისკებს, რომლებიც აქამდე გამოგვიცია. ის ატარებს სასწავლო გამოცემის სტატუსს. აღსანიშნავია, რომ გამოცემის სასწავლო წოდე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## „ელექტრა" რუსთაველის თეატრშია

ეკა ირემაშვილი

სოფოკლეს „ელექტრა" რუსთაველის თეატრშია. ახალ სპექტაკლზე ბერძენმა რეჟისორმა გრიგორის კარანტინაკისმა იმუშავა.



წარმოდგენის პრემიერა რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გაიმართა. თარგმანისა და სცენური ვერსიის ავტორები გრიგორის კარანტინაკისი და ნინო კანტიძე არიან, რეჟისორი — ნიკოლოზ პაინე-შველიძე, მხატვარი — მირიან შველიძე, მუსიკალური გამფორმებელი — ია საკანდელიძე, ქორეოგრაფი — კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე — რუსუდან ბარბაქაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ დავით გოცირიძე, ბესო ზანგური, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ირაკლი მაჭარაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, გაგი სვანიძე, ლაშა ჯუხარაშვილი, ქორო მანანა აბრამიშვილი, ლელა ახალაია, ნათია კვაშალი, ნინო მაყაშვილი, ქეთი სვანიძე, ქეთი ხიტირი.

„რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი სოფოკლეს „ელექტრა" ამ ნაწარმოების თავისებური ვერსიაა. ძმათა სისხლის ღვრით ადამიანებს ვერ გააკვირვებ. ამ ტრაგედიაში კი მოთხრობილია ბერძენთა შორის ყველაზე უფრო სისხლიანი გვარის ამბავი. სამწუხაროდ, შურისძიებისა და ძალაუფლების წყურვილით ანთებული ადამიანები უხსოვარი დროიდან არ ინდობდნენ ერთმანეთს. მაგრამ ელექტრას უფრო მძიმე ტვირთი აწევს, მამის მკვლელი დედაა და ასულმა, ძმასთან ერთად, სწორედ მშობელ დედაზე უნდა იძიოს შური," — ამბობს ბერძენი რეჟისორი.

გრიგორის კარანტინაკისი თეატრისა და კინოს რეჟისორი, სცენარისტი, საბერძნეთის ეროვ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

— მამა, რა არის მაფია?

— ისინი არიან ცუდი ადამიანები, რომლებიც გაჩუმებას გაიძულებენ, ხოლო თუ არ დაემორჩილები, მაშინ დაგსჯიან.

— როგორც დედაჩემი?

●●●

მამა-ეშმაკი სახლში დაბრუნდა, დედა-ეშმაკმა კი შვილი-ეშმაკუნა მიუყვანა და ეუბნება:

— შეგიძლია დასაჯო, მთელი დღე ანგელოზივით იქცეოდა...

●●●

სამხატვრო სკოლაში მუშაობის დაწყების მსურველს დირექტორი ეკითხება:

— თქვენ სამუშაოს ყოველთვის სინდისიერად ასრულებთ?

— რა თქმა უნდა! ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემ მიერ დახატული კუპიურები, რომელიმე გამყიდველს ნამდვილისგან გამოერჩიოს!

●●●

მღვდელი მიხოს და მაროს ჯვარს სწერს და ამბობს:

— ჯვარს იწერენ მონა ღვთისა მიხო და ღვთის რისხვა მარო!!!

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

— მამა, დედა ცოლად რატომ მოიყვანე?

კაცი ცოლს მიუბრუნდება და ნიშნის მოგებით ეტყვის:

— ხედავ, ქალო, ბავშვსაც კი უკვირს...

●●●

ოსი თავის ეზოში ბომბას ხერხავს. ამ დროს მეზობელი დაინახავს და დაუძახებს:

— რას აკეთებ, ეგ ხომ ბომბია, აფეთქდება!!!

— ალა უსავს, მეორეცა მაქვს.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

— რატომ გაქვს ასეთი დიდი თავი?

— ბავშვობაში უქუდოდ დავრბოდი და იმიტომ.

— ასეთი დიდი ფეხები რატომღა გაქვს?

— ბავშვობაში ფეხშიშველი დავრბოდი.

— მაგას გერჩივნა, ბავშვობაში უტრუსიკოდ გერბინა...

●●●

დედა შვილს ეუბნება:

— შვილო, მე და მამაშენი ორი დღით მივემგზავრებით და ბინა მთლიანად შენს განკარგულებაში რჩება...

— შვილო, შეგიძლია, მაშინ მაინც არ დაურეკო მეძავებს, სანამ გელაპარაკები?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## h3xცeჯ3ლბ




**თარაზულად:** 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 8. მსოფლიო მოდის ცენტრი; 9. გემის ასასვლელ-ჩამოსასვლელი კიბე; 10. ზღვის ფსკერის სანაპირო ნაწილი; 11. კინო, კინემატოგრაფის ძველი სახელწოდება; 15. ადამიანის მსგავსი განამარხებული მაიმუნი; 17. იაპონელთა ეროვნული ტანსაცმელი; 19. ძაღლის ჯიში; 21. მთავარი მომღერალი სინაგოგაში; 22. წაბლისფერი წყალმცენარე; 23. კენკრათაგან ერთ-ერთი.

**შვეულად:** 1. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 2. ძველი სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი; 3. ფიზიკის ნაწილი; 4. ტრამვაის წინამორბედი; 5. რაიმე ენის კილო, კილოკავი; 8. ფრენის უუნარო ზღვის დიდი ფრინველი; 12. ,,ვისთვის რეკს ..." (ჰემინგუეი); 13. იაპონური ანბანის ერთ-ერთი გრაფიკული ფორმა; 14. გაზაფხულის თვე; 16. პატარა, ჭრელი, უსწრაფესი ჩიტი; 18. ფანჯრის საფარი ქსოვილი; 20. ცხენების ჯოგი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*